ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 11 იანვარი, 2018 №8 (7553) ფასი: 50 თეთრი

ოთარ აბესაძეს დახურული სივრცის პანიკური შიში აქვს

გვ.4

9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

თემირლან მაჩალიკაშვილის დედა: „შვილი მომიკლეს. აპარატიდან გამორთეს, არ გადაიყვანეს საზღვარგარეთ“





გვ.2

ზვიად კუპრავას თავი გაუტეხეს

რა კავშირი აქვს თავდასხმას დაცვის პოლიციაში გაფლანგულ 28 მილიონთან

გვ.3

არის თუ არა საქართველო ტერორიზმისგან დაცული

გვ.3

ირაკლი სესიაშვილი საზოგადოებისგან თანადგომას ითხოვს

სამართალი გვ.7

პროკურორი: „გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ საედი დუდაევი სინამდვილეში შოაიფ ბორზიევია“



ხმოვანი სატყუარა — რა აღმოაჩინეს მებაქეებმა სარფში

იტალიაში მატარებელი საქართველოს მოქალაქეს დაეჯახა

ეკონომიკა გვ.6

ფინანსისტები კრიპტოვალუტების 60%-ის გაქრობას პროგნოზირებენ

რა დარღვევები გამოვლინდა თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში

როგორ ატყუებენ სესხის ამომღები კომპანიები მოვალეებს?

საქართველოს პასპორტმა 67-ე პოზიციიდან 53-ე ადგილზე გადაინაცვლა

ISSN 1987-9385

7 პროკურატურა ჩხვირკია-ღოლობერიძის მიმართ გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებს

5 ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის პროპაგანდას ვერ პასუხობს“

4 ვინ არიან სახალხო დამცველის ახალი მოადგილეები

6 თბილისის ცირკის შენობას მყიდველი ამ დრომდე არ გამოუჩნდა

თემირლან მაჩალიკაშვილის დედა: „შვილი მომიკლეს. აპარატიდან გამორთეს, არ გადაიყვანეს საზღვარგარეთ“



შორენა მარსაგიშვილი

26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციისას დაჭრილი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი გუშინ, 10 იანვარს, გამთენიისას გარდაიცვალა. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ ცხედარი პანკისის ხეობაში გადაასვენეს. მას დღეს, 11 იანვარს, დაკრძალავენ.

როგორც ექიმები ამბობენ, მაჩალიკაშვილის მდგომარეობა 9 იანვარს დღის მეორე ნახევარში გაუარესდა.

გარდაცვლილის მშობლებს და ადვოკატს დამატებითი კითხვები გაუჩნდათ. გარდაცვლილის დედა ფიქრობს, რომ მისი შვილი აპარატიდან გამორთეს.

– აპარატიდან გამორთეს, შვილი მომიკლეს. მიზანმიმართულად არ გადაიყვანეს საზღვარგარეთ, სპეციალურად აწყობდათ, ქვეყანა დაექცეს იმ სპეცრაზმელებს, ქვეყანა დაექცეს გომელაურს, გახარიას. არ უნდოდათ იმათ ჩემი შვილის სიცოცხლე. ამას სტრასბურგამდე მივიყვანთ. თუ ცოცხალი ვიქნები, ამ ქვეყანას ამას არ შევარჩენ, ვინც დამნაშავეები არიან, – განაცხადა თემირლან მაჩალიკაშვილის დედამ, მედიკო მარგოშვილმა.

ოჯახის ადვოკატს იმის გარკვევა აინტერესებს, რატომ დადგა სიკვდილი მაშინ, როცა დაჭრილის საზღვარგარეთ გადაყვანა იქნა მიღებული.

– ძალიან ბევრი კითხვა გვაქვს. სროლის ტრაექტორია, ასეთი გარდაცვალების მიზეზი, მაშინ როდესაც ჩვენ უკვე მოლაპარაკება გვქონდა და გადაწყვეტილი იყო მისი გადაყვანა, ასე სწრაფად რატომ დადგა სიკვდილი. მრავალი სხვა კითხვა, რომლებიც ჩვენ დავუსვით ექსპერტიზას, – აცხადებს ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბერაია 19 წლის მაჩალიკაშვილის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. ამასთან მიიჩნევს, რომ ამ თემაზე შეფასებებისას საზოგადოებამ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

– საზოგადოებამ იცის, რომ თემირლან მაჩალიკაშვილის გადასაყვანად მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკებები რამდენიმე უცხოურ კლინიკასთან, სახელმწიფომ გააკეთა ყველაფერი, ძალიან სამწუხაროა, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მნიშვნელოვანია ყველამ გავაცნობიეროთ, რომ საქმე გვაქვს მსოფლიოსთვის უმძიმეს გამოწვევასთან – ტერორიზმთან და საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას. რომ არა ეს მასშტაბური და რამდენიმე ეტაპისგან შემდგარი კონტრტერორისტული ოპერაცია, ჩვენ დღეს ძალიან მძიმე შედეგებთან და რეალობასთან გვექნებოდა საქმე. ეს ასევე მთლიანად შეცვლიდა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას და მის აღქმას საერთაშორისო საზოგადოების თვალში. რასაკვირველია, შვილის გარდაცვალება უმძიმესია ოჯახისთვის. შესაბამისად, ყველას მართებს განსაკუთრებული წინდახედულობა, რათა ეს არ იქნას გამოყენებული პოლიტიკური სპეკულაციისთვის.

აუცილებელია დაველოდოთ გამოძიების დასრულებას დამ რასაკვირველია, ცივილიზებულ სამყაროსთან ერთად გავაგრძელოთ ბრძოლა ტერორიზმთან, – განაცხადა ირაკლი ბერაიამ.

გამოძიებას ელოდება იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც. მისი თქმით, 19 წლის ახალგაზრდას გარდაცვალების საქმეზე სამართალდამცველების მიერ ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით კითხვებზე პასუხის გაცემა გამოძიების საკითხია.

– ის კითხვები, რაც არსებობს ძალის გადამეტებასთან დაკავშირებით, არის გამოძიების საკითხი. გამოძიება მიმდინარეობს და აქედან გამომდინარე, ვერც ერთი მინისტრი თუ სხვა პირი ვერ გეტყვით ამ კითხვებზე პასუხს, სანამ საგამოძიებო ორგანოები არ დაასრულებენ თავიანთ სამუშაოს, – განუცხადა თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს.

დამოუკიდებელი ექსპერტის, მაია ნიკოლეიშვილის თქმით, რომელიც საქმეში მაჩალიკაშვილის ოჯახის მოთხოვნით ჩაერთო, ტყვიის გაჩერების ბოლო წერტილის დადგენით არის შესაძლებელი იმის გარკვევა, შეეძლო თუ არა გარდაცვლილს სპეცრაზმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ან ოპერაციის დროს რაიმე საგნის ხელში აღება.

გადაცემაში „360 გრადუსი“ საუბრისას ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ მაჩალიკაშვილი სროლის დროს საწოლში იმყოფებოდა, თუმცა, ზუსტი პოზის დადგენა ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, რადგან ტყვიის საბოლოო ტრაექტორიის შესახებ მას ინფორმაცია არ აქვს, გამოძიებას კი შესაბამისი დოკუმენტები ექსპერტისთვის არ წარუდგენია.

ნიკოლეიშვილი იმედოვნებს, რომ გამოძიება გამოიჩენს კეთილ ნებას და აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება მასაც ექნება.

– მთავარი კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, არის სროლის მანძილი და ის, თუ რა პოზაში იმყოფებოდა თემირლანი სროლის დროს. შემდეგ იურისტებმა უნდა ააწყონ სურათი, შეეძლო თუ არა მას აეღო რაიმე საგანი. მაგრამ დღეს ცალსახაა, რომ

ის ნამდვილად საწოლში იყო. საჭიროა საბოლოო წერტილის დადგენა, საიდანაც ტყვია არის ამოღებული. როდესაც მე ვნახე ის ადგილი, გამოჭრილია, ტყვია ამოღებულია, ამიტომ არ ვიცით ბოლო წერტილი, თუ სად გაჩერდა ტყვია. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ვიზირება და აღდგენა, ალბათ ამას გამოძიება გააკეთებდა, მაგრამ, ბუნებრივია, გვაინტერესებს, რომ იგივე ვნახოთ ჩვენც. შესაძლებელია რაღაც ეტაპზე მოხდეს იმ პარამეტრების მოცემა, რომელიც დღეს აქვს გამოძიებას.

ტყვიის ტრაექტორია გვაძლევს იმას, რომ გავიგოთ, ეს ადამიანი ოდნავ წამომჯდარი იყო საწოლში თუ იწვა. ამიტომ გვინდა პარამეტრები, რაც გამოძიებას აქვს. გამოძიების მასალები ჩვენთვის უცნობია, ამიტომ ვერ გეტყვით, სად იდო ხელყუმბარა და ვერ ვიტყვი, მოახერხებდა თუ არა ის ხელყუმბარის აღებას. გამოძიებას აქვს რაღაც მასალები, რომლის წვდომაც აუცილებელია, ამის გარეშე ჩვენ მხოლოდ პოზაზე ვისაუბრებთ, – განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა.

ექსპერტიზა გვიან საღამოს დასრულდა. ადვოკატ მარიამ კუბლაშვილის განცხადებით, ექსპერტიზის შედეგად ვერ მოხდა იმის განსაზღვრა, თუ როგორი ტრაექტორიით მოხდა გასროლა.

– ერთ კითხვას, რაც მე მქონდა დასმული, პასუხი ამ ეტაპზე ვერ გაეცა. ეს არის ტყვიის გასვლის ბოლო წერტილი, ანუ სადაც გავიდა ტყვია, ის ადგილი არის ამოღებული. შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს მასალა, რომ ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა. ეს მოგვცემდა იმის საშუალებას, თუ როგორი ტრაექტორიით მოხდა გასროლა, შესაბამისად, ამ კუთხით ჩვენ ექსპერტიზიდან არ გვაქვს პასუხი. რაც შეეხება ანაბეჭდებს, მოხდა ანაბეჭდების აღება და შემდეგ მოხდება ხელყუმბარაზე ავთენტურობის დადგენა, – განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.

❖ ❖ ❖

თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტს ოპოზიციის და არასამთავრობების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

თავისუფალ დემოკრატებს არ სჯერათ, რომ ამ საქმეს საქართველოს ხელისუფლება გამოიძიებს. პარტიის თავმჯდომარე თამარ კეკენაძე ამბობს, რომ 26 დეკემბერს სპეცოპერაცია ჩატაევის თემის გადასაფარად ჩატარდა.

– ვუსამძიმრებ თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახს. ძალიან დიდი იმედი მქონდა, რომ ის შეძლებდა თავის დაცვას, გადარჩებოდა, და გავიგებდით, რეალურად რა მოხდა. სამწუხაროდ, იმდენად დაკარგულია ნდობა როგორც მთავრობის, ისე სამართალდამცავების მიმართ, რომ არ მაქვს იმედი, ამ საქმის ადეკვატურად გამოძიების.

ადამიანი მოკლულია ტერორიზმის ბრალდებით და ბრალიც კი ვერ წაუყენეს. ეს სპეცოპერაცია ჩატარდა ჩატაევის თემის გადასაფარად და ახლა უკვე ორი კვირაა ვუყურებთ, თუ როგორც ცდილობს მთავრობა მაჩალიკაშვილის სახელის დისკრედიტაციას ისე, რომ სამართლებრივად ვერ ამტკიცებს მის ტერორიზმში ბრალეულობას, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში კეკენაძემ.

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელი თამთა მიქელაძე აცხადებს, რომ ეს იყო მკვლელობა, რომელიც ჩაიდინა სახელმწიფომ.

– ჩვენ გამოვიყენებთ სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალებას, რომ ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს და დაზარალებული ოჯახის უფლებები ბოლომდე იქნეს დაცული, – განაცხადა მიქელაძემ.

მისი აზრით, ისიც გასარკვევია, რამდენად დროულად აღმოუჩინეს დაჭრის შემდეგ მაჩალიკაშვილს სამედიცინო დახმარება.

– ამ საქმეში პრობლემურია როგორც სროლის პროპორციულობის და აუცილებლობის საკითხი, ასევე პრობლემურია, რამდენად დროულად აღმოუჩინეს პირველადი სამედიცინო დახმარება დაჭრის შემდეგ და მერე ამ ორი კვირის განმავლობაში ადეკვატური და ჯეროვანი იყო თუ არა მისთვის გაწეული სამედიცინო დახმარება. ჩვენ ამ საკითხებს შევისწავლით დეტალურად და, ცხადია, საბოლოო სწორება იმისათვის, რომ ამ საქმეზე სიმართლე დადგინდეს, გვაქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოზე, – აღნიშნა თამთა მიქელაძემ.

მიქელაძის განცხადებით, საქმის პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ადგილობრივი გამოძიების დამოუკიდებლობის და ეფექტიანობის ნდობა დაბალია.

– ამის მიუხედავად, ჩვენ ადგილობრივ დონეზე სიმართლის დადგენისთვის უნდა გავაკეთოთ ყველაფერი. სიმართლისთვის ბრძოლა და ჩვენი მაქსიმალური სოლიდარობა არის გზა, რომელიც მაჩალიკაშვილების ოჯახს და პანკისის ხეობის მოსახლეობას სპეცოპერაციის და იარაღის ენით მოლაპარაკე სახელმწიფოს მიერ შექმნილი კრიზისიდან და გაუცხოებისგან დაიცავს, – ამბობს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ხელმძღვანელი.

❖ ❖ ❖

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა 9 იანვარს პანკისის ხეობაში კიდევ ერთი სპეცოპერაცია ჩაატარა. რომლის დროსაც 24 წლის ზურაბ იდოიძე დაიკავეს. სუსის ინფორმაციით, ის ახმედ ჩატაევის საქართველოში ჩამოყვანაში მონაწილეობდა.

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმის პროკურორის, ნანა ხუნჯუას ინფორმაციით, პანკისში 9 იანვარს დაკავებული ზურაბ იდოიძე, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ზურაბ გორნაკაშვილის ჩვენების საფუძველზე დაიკავეს.

პროკურორის განმარტებით, მტკიცებულებების ერთობლიობა მათ შორის ჩვენებებსაც მოიცავს.

– ზურაბ იდოიძის დაკავება მოხდა საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულებების ერთობლიობა მათ შორის მოიცავს მიღებულ ჩვენებებსაც. დანარჩენ დეტალებზე, მტკიცებულებების შინაარსთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე ვერ მოგახსენებთ, – განაცხადა პროკურორმა.

სუს-ის ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ზურაბ იდოიძე, ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად, ჩავიდა თურქეთის ქალაქ ხოფაში ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად. დაკავებულმა, ზურაბ გორნაკაშვილთან ერთად, ახმედ ჩატაევი და მისი დაჯგუფების წევრები ხოფაში, მათი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან მანქანით მიიყვანა თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე.

რაც შეეხება ზურაბ გორნაკაშვილს, ის პანკისში 26 დეკემბერს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიკავეს.

გუშინ საღამოს ზურაბ იდოიძეს ბრალი წარუდგინეს.

იდოიძის ადვოკატის თქმით, მის დაცვის ქვეშ მყოფს სუსმა ბრალი 331-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით წაუყენა, რაც ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობას გულისხმობს. თავად იდოიძე დუმილის უფლებას იყენებს და ბრალს არ აღიარებს.

– ეს არის ტერორისტული ორგანიზაციისათვის ხელშეწყობა. სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე პრიმას 23-ე ნაწილი, ამ მუხლით წაუყენეს ბრალი. ვნახე დაკავებული, კვლავ დუმილის უფლებას იყენებს და არ ცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, – განაცხადა ადვოკატმა დავით მოდებაძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

არის თუ არა საქართველო ტერორიზმისგან დაცული

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტერორიზმის საფრთხეზე და საზოგადოების მიერ მის ჯეროვან გაცნობიერებაზე საუბრობს.

ირაკლი სესიაშვილი საზოგადოებისგან თანადგომას ითხოვს

– ბატონო ირაკლი, ტერორიზმი გლობალური საფრთხეა და გასაგებია, რომ მისი სამიზნე არის ევროპა, ამერიკა, მაგრამ რამდენად რეალურია, რომ საქართველო ტერორიზმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს?

– ტერორიზმი გლობალური საფრთხე არის და მისი საზღვრები არ არის შემოფარგლულ-შემოსაზღვრული. ტერორიზმი არ არის მხოლოდ ხელისუფლებისა და უსაფრთხოების სამსახურების გამოწვევა არსად, მათ შორის, ცხადია, ჩვენს ქვეყანაშიც. ჩვენ ყველამ ერთად, ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ, არ გავიაზრეთ თუ რა საფრთხეზეა საუბარი, მაშინ ძალიან რთული იქნება. ბუნებრივია, რომ ნებისმიერ ტერორისტულ გამოვლინებაზე სახელმწიფოს რეაგირება ექნება, მაგრამ უნდა მოხდეს იმის გაცნობიერება, რომ ტერორიზმი საფრთხეს მხოლოდ ხელისუფლებას კი არ უქმნის, არამედ თითოეულ ჩვენგანს, ჩვენს შვილებს, ჩვენი ქვეყნის საერთო მომავალს უქმნის საფრთხეს. თუ ამის გაცნობიერება არ მოხდება, მაშინ ჩვენ ბევრ რამეზე მოგვიწევს უარის თქმა: უარის თქმა მოგვიწევს ჩვენი ქვეყნის მომავალზე, პერსპექტივებზე, სტაბილურობაზე. ამაზე ჩვენი სახელმწიფო ნამდვილად არ წავა. ამიტომ აქ ყველას გვმართებს ერთიანობა, არა მხოლოდ პოლიტიკურ სპექტრზე მაქვს ამ შემთხვევაში საუბარი, რომელიც უმსგავსოდ იქცევა, როდესაც ამ ურთულეს თემას პოლიტიკური სპეკულაციისთვის იყენებს.

– თქვენ ამბობთ, რომ ამ თემით ოპოზიცია სპეკულირებს?

– ვერ წარმომიდგენია, ასეთი რა უღირთ საკუთარი პოლიტიკური ინტერესები, რომ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების ხარჯზე ასეთ განცხადებებს აკეთებენ. თითქოს ეს განცხადებები ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, მაგრამ რეალურად სახელმწიფოს წინააღმდეგ არის მიმართული.

– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიცია სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს?

– როგორც ჩანს, ვიწრო პოლიტიკური ინტერესები ურჩევნიათ.

– ბატონო ირაკლი, კონკრეტულად ამ ფაქტზე რა შეგიძლიათ გვითხრათ? უშედეგო მკურნალობის შემდეგ მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა.

– მაჩალიკაშვილის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება აუცილებლად დაადგენს ჭეშმარიტებას. ეს ადამიანები აშკარად კავშირში იყვნენ და ეს კავშირები დღეს არ შექმნილა. ამის მტკიცებულებები არსებობს. მერწმუნეთ, არავის არ უხარია ვინმეს გარდაცვალება. ეს ხომ სრულიად წარმოუდგენელია. გარდაიცვალა სპეცრაზმელი, გარდაიცვალა ეს ახალგაზრდა ბიჭი. როგორ ფიქრობთ, რომელ ჩვენგანზე არ მოქმედებს, როდესაც ახალგაზრდა კაცი იღუპება. ხომ წარმომიდგენია, რა მდგომარეობაშია ოჯახი, მაგრამ ამ ყველაფრის ჯაჭვური რეაქციაა ეს სამწუხაროდ.

– კითხვა ისმის, რამდენად კვალიფიციურად იყო ეს სპეცოპერაცია ჯერ დაგეგმილი და შემდეგ ჩატარებული?

– გამოძიებას აქვს თავისი პასუხისმგებლობა და ის დადებს დასკვნას. ამ კითხვებზე პასუხს აუცილებლად გამოძიება გასცემს. მე გამიჭირდება, შეუიარაღებელი თვალით ეს შევაფასო. არც მაქვს უფლება, რომ გამოძიების პროცესში, მისი მიმდინარეობის დროს, ეს შეფასებები გავაკეთო. დანარჩენი რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ პრობლემა უფრო ღრმად არის. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ტერორიზმის გაიგივება რომელიმე რელიგიური თუ ეთნიკური კუთხით, ტერორიზმი ბევრად უფრო ღრმა და გლობალური პრობლემაა. ამას ვამბობ ხაზგასმით, ეს აბსოლუტურად დაუშვებელი და სრულიად მიუღებელია. მეტიც, ქისტებში, ჩეჩნებში იმდენი მეგობარი მყავს, რომელიც ისეთი ერთგულია ჩვენი სახელმწიფოსი, რომ ბევრი ვერ დაიკვეხნის. საქმე ვინმეს ან რომელიმე ჯგუფის წინააღმდეგ კი არ გვაქვს, საქმე გვაქვს კონკრეტულ საერთაშორისო დანაშაულთან, რომელთან ბრძოლაც არის ხელისუფლების ვალდებულება. ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული მოქმედებები არის უმძიმესი დანაშაული, რაც არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის ჩვენს მოქალაქეებს, არამედ პირდაპირ ურტყამს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობასა და მის პერსპექტივებს. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოს ადეკვატური რეაგირება ექნება.

– ბატონო ირაკლი, სირიაში, როგორც ცნობილია, „ისლამურმა სახელმწიფომ“ ტერიტორიები დათმო, თითქოს ისინი დამარცხდნენ. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს ადამიანები სახლებში დაბრუნდებიან, შესაბამისად არ არის გამორიცხული, რომ მათ დერეფნად, ტრანზიტად გამოიყენონ ჩვენი ქვეყანა ან თავშესაფრად. სახელმწიფო ამ გამოწვევისთვის რამდენად არის მზად?

– პირველ რიგში, ჩვენ კანონმდებლობა

შევცვალეთ. თუ ეს ადამიანები საქართველოში აღმოჩნდებიან, ისინი იმ წუთში დაექვემდებარებიან სისხლის-სამართლის პასუხისმგებლობას.

– მე რამდენადაც ვიცი, საქართველოს 8 მოქალაქეზეა საუბარი, რომლებიც „ისლამურ სახელმწიფოში“ იბრძოდნენ. თქვენ, რა ინფორმაცია გაქვთ და რისი თქმა შეგიძლიათ?

– რა თქმა უნდა, ჩვენ ინფორმაციას ვფლობთ მათ შესახებ. რა თქმა უნდა, ერთგვარი სია არსებობს, რომლებიც შეიძლება ჩვენი მოქალაქეები არ არიან, მაგრამ სხვა ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, ჩვენ ამ ინფორმაციაზე წვდომა გვაქვს. რა თქმა უნდა, ამ საკითხებზე ჩვენს პარტნიორებთან ერთად ვმუშაობთ და ისინი ამ პროცესში ჩართულები არიან.

– ამერიკა რამდენად გვეხმარება ანტიტერორისტულ ღონისძიების გატარებაში თუ მხოლოდ ჩვენი ძალებით...?

– კონკრეტულად ამ საკითხზე, ჩვენ ბევრ სახელმწიფოსთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გამორჩეულად ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვთანამშრომლობთ, რადგან ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე.

– ტერორიზმი ჩვენი ქვეყნისთვის რამდენად არის რეალური საფრთხე და თუ არის, რამდენად გვაქვს გაცნობიერებული?

– წლების განმავლობაში ჩვენ, ვინარჩუნებთ ტერორიზმის კუთხით უსაფრთხო ქვეყნის სტატუსს. თუმცა, ამ კონტექსტში მომხდარი ფაქტი არ იყო სახარბიელო. ტერორიზმი არ არის გაზომვადი, ამიტომ მუდმივი ყურადღება გვმართებს. ჩვენ შიგნით, საზოგადოებაში გაცილებით უფრო მობილიზებულები რომ ვიყოთ, უფრო თამამად ვიტყოდით, რომ ამ საფრთხეებისგან უფრო დაცულები ვართ, ვიდრე სხვები.

ზვიად კუპრავას თავი გაუტეხეს

რა კავშირი აქვს თავდასხმას დაცვის პოლიციაში გაფლანგულ 28 მილიონთან

შორენა მარსაგიშვილი

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელ ზვიად კუპრავას 9 იანვარს გვიან ღამით თავს დაესხნენ. მას თავის არეში 2 ჭრილობა მიაყენეს. თავდასხმის მომენტში მასთან იყვნენ მისი მეუღლე და 2 წლის შვილი ნიკოლოზი. მეუღლეს ხელი აქვს დაზიანებული, ბავშვი შეშინებულია.

თავდასხმამდე რამდენიმე საათით ადრე, კუპრავას კუთვნილი ავტომანქანა დააზიანეს.

ზვიად კუპრავა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად არის განწყობილი და საკმაოდ მწვავე განცხადებებს აკეთებს. როგორც კი მასზე თავდასხმის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, ყველამ ჩათვალა, რომ ეს იყო პოლიტიკური ანგარიშსწორება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში კი აცხადებდნენ, რომ კუპრავას მეზობელთან ჰქონდა კონფლიქტი. ეს მეზობელი მოგვიანებით დააკავეს. ის ამბობს, რომ თავდასხმის ფაქტს ვერ იხსენებს.

„ახალ თაობასთან“ საუბარში ზვიად კუპრავამ განაცხადა, რომ დაკავებული გ.დ. მართლაც მის კორპუსში ცხოვრობს, თუმცა მასთან არასდროს არანაირი კომუნიკაცია და, მით უმეტეს, კონფლიქტი არ ჰქონია.

ზვიად კუპრავა:

– ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ არც ერთ მეზობელთან რაიმე ტიპის კონფლიქტი არ გამაჩნია, შესაბამისად, არავის არ ჰქონდა ჩემზე თავდასხმის საფუძველი!

შსს-ს მიერ დაკავებული გ.დ. ჩემს კორპუსში ცხოვრობს. მასთან არანაირი კომუნიკაცია არ მქონია. მისგან არასდროს არანაირი აგრესია არ მიგრძნია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი არის ფსიქიკურად დაავადებული და რამდენიმე დღის წინ გამოწერეს ფსიქიატრიულიდან.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ამ პირთან არასოდეს, არავითარი კონფლიქტი არ მქონია!

შესაბამისად, შსს-ს მცდელობა, აღნიშნული ფაქტი შეფუთოს როგორც მეზობლური კონფლიქტი, არის მცდელობა, გადაფარონ დანაშაული, რომელიც ამ თავდასხმის უკან შეიძლება იდგეს და იყოს თავდასხმის რეალური მოტივი.

გამომძიებელმა ჩემთან საუბარში განაცხადა რომ დაკავებული გ.დ. ჩემზე თავდასხმის ფაქტს არ აღიარებს და აცხადებს, რომ მას ასეთი რამე არ ახსოვს.

– თქვენ თავდამსხმელი დაინახეთ?

– არ დამინახია. სადარბაზოში, სადაც ჩემზე თავდასხმა განხორციელდა, შუქი არ იყო.

– აბა რის საფუძველზე დააკავეს ის?

– ამბობენ, რომ მეზობელმა დაინახა. ამ საქმეს მაინც გამოვაძიებინებ. შსს-ს არ გამოუვა, ჩემზე თავდასხმა მეზობლურ კონფლიქტად შეფუთოს.

– რა ვითარებაში მოხდა თქვენზე თავდასხმა?

– 9 იანვარს, დაახლოებით 20 საათზე, მოვედი სახლში, საკუთარი ავტომანქანა კორპუსის ეზოში დამხვდა დაღეწილი, კერძოდ, მანქანის ფარები იყო ჩამტვრეული. აღნიშნულზე გამოვიძახე საპატრულო პოლიცია, რომელმაც ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება.

ამის შემდეგ, დაახლოებით ღამის 12 საათზე, მეუღლესთან და ჩემი 2 წლის შვილთან ერთად შემოვდიოდი სახლის სადარბაზოში, როდესაც მოულოდნელად ბლაგვი საგნით ვიგრძენი დარტყმა თავის არეში, რის შედეგადაც მივიღე მნიშვნელოვანი დაზიანება.

თავიდან მეგონა, რომ ერთი ჭრილობა მქონდა. ბინტის მოხსნის შემდეგ ვნახე, რომ ორი ჭრილობა მოუყენებია.

„პოლიციის მიერ დაკავებული ადამიანი არის ფსიქიკურად დაავადებული და რამდენიმე დღის წინ გამოწერეს ფსიქიატრიულიდან“

თავში ბლაგვი საგანია ჩარტყმული, შუბლზე კი დანის კვალი მეტყობა. არაა გამორიცხული, თავდამსხმელმა ორივე ჭრილობა ერთი იარაღით მომაყენა. დანის ტარიც შეიძლება იყოს ბლაგვი საგანი.

– თავდასხმის შედეგად თქვენმა მეუღლემაც მიიღო დაზიანება. ეს როგორ მოხდა?

– როდესაც სადარბაზოში შემოვედი, მოულოდნელად მოხდა თავდასხმა. თავში ჩამარტყეს რაღაცა. სისხლი წამომივიდა. გაქცევა რომ დააპირა, ჩემი მეუღლე მის შეჩერებას შეეცადა. მან ხელი ჰკრა. ჩემი მეუღლე წაიქცა და დაზიანება მიიღო.

– ბავშვი უვნებელი გადარჩა?

– ნიკოლოზი 2 წლისაა და შეშინდა.

– თქვენ ზემოთ თქვით, რომ შსს ცდილობს, თავდასხმის რეალური მოტივი შეფუთოს. თქვენ ძალიან მწვავე განცხადებებს აკეთებთ და სკანდალურ ინფორმაციებს ავრცელებთ. რომელ განცხადებას ან ინფორმაციას შეიძლება მოჰყოლოდა ეს თავდასხმა?

– თავდასხმის მოტივი ის საქმიანობაა, რომელსაც მე ვეწევი და ასე ძალიან აქვს ხელისუფლებას გაჩხერილი ყელში.

წინასწარი დასკვნებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ეს თავდასხმა იმ საქმეს უკავშირდებოდეს, რომელზეც ერთი კვირაა ვმუშაობ. საუბარია დაცვის პოლიციაში 28 მილიონი ლარის გაფლანგვაზე. არის ვარაუდები, რომ ეს ფული კაზინოში დაიხარჯა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ როგორც კი გიორგი გახარია შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, მან დაცვის პოლიციის უფროსი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ერთ-ერთი ინფორმაციით, გახარიამ მას გაფლანგული ფულის უკან მიტანა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჭერით დაემუქრა.

აი, ამ საქმეს ვსწავლობ და არ გამოვრიცხავ, რომ ჩემზე თავდასხმა სწორედ ამ 28 მილიონის გაფლანგვას უკავშირდებოდეს. ამ საქმეს აუცილებლად შევისწავლი, არ მოვეშვები.

ჩემზე თავდასხმის საქმეზეც შევაწუხებ ყველას. აუცილებლად გავარკვევ, რატომ გამოუშვეს ფსიქიკურად დაავადებული აგრესიული პირი ფსიქიატრიული კლინიკიდან. ასევე გავარკვევ, დაინტერესებულმა პირმა ხომ არ შეაგულიანა ეს ადამიანი, რომ ჩემზე თავდასხმა განეხორციელებინა. მოგეხსენებათ, რომ შეურაცხადი ადამიანები ყველაზე მოწყვლადები არიან და მათი მართვა იოლად შეიძლება.

ოთარ აბესაძეს დახურული სივრცის პანიკური შიში აქვს

ნონა ცაბაძე

ირმა ჭკადუა: „ჩემმა კლიენტმა 30 კილოგრამი დაიკლო“

ქრთამის აღებაში ბრალდებული ოთარ აბესაძე გამოკვლევების ჩასატარებლად ნეოკლინიკაში იყო გადაყვანილი, გუშინ კი ის კვლავ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააბრუნეს. აბესაძის ადვოკატის, ირმა ჭკადუას განცხადებით, დასკვნა მისი კლიენტის შესახებ მომავალ კვირას გახდება ცნობილი. აბესაძეს კიდევ უნდა ჩაუტარდეს დამატებითი გამოკვლევები, რადგან აღმოჩენილია რაღაც დაავადებები, რაც იწვევდა ბოლო პრობლემებს. „ახალი თაობა“ ირმა ჭკადუას ესაუბრა.

– ქალბატონო ირმა, სახალხო დამცველი დაინტერესდა ოთარ აბესაძის საქმით და მისი შესწავლა დაიწყო. თქვენ თანამშრომლობთ სახალხო დამცველთან? რისი თქმა შეგიძლიათ ამ ეტაპზე?

– ძალიან სასიამოვნოა, რომ სახალხო დამცველმა თავად გამოთქვა სურვილი, დაინტერესდა აღნიშნული საქმით. საინტერესოა იქიდან გამომდინარე, რომ ყველასთვის ცნობილი გახდა ის ფაქტები, რომ ბოლო პერიოდში არაერთხელ იქნა დასმული საკითხი აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე, რაც მოსამართლემ არ გაიზიარა.

– მიზეზად რას ასახელებდა?

– ის აპელირებდა მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობით. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც 5 თვეზე მეტია გასული, პრაქტიკულად ადამიანი აღიარებს ბრალს, მცდელობა არ ჰქონია მოწმეებზე ზემოქმედებას, მოსამართლემ ცალსახად მიუთითა ერთ-ერთ საფრთხედ მოწმეზე ზემოქმედება, ისე, რომ არც ერთი არგუმენტი არ წარმოუდგენია. ჩვენი ინტერესი არის ისიც, რამდენად კანონიერია მისი ეს გადაწყვეტილებები და ეს მიდგომები.

– სახალხო დამცველის ჩართულობა შეცვლის სიტუაციას?

– იმედს ვიტოვებთ, რომ სახალხო დამცველის ჩართვის შემთხვევაში, მკაცრად იქნება გაკრიტიკებული ეს გადაწყვეტილებები და იმედს ვიტოვებთ, რომ სამაგალითო იქნება აბესაძის საქმე სხვა ბრალდებულებისთვისაც. მიღებული გადაწყვეტილებები გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ცოტა სხვა რაღაცასთან.

– ამ სხვა რაღაცაში რას გულისხმობთ? რა არის ამის მოტივი?

– იმედს ვიტოვებთ, რომ ამის გარკვევაში დაგვეხმარება ზუსტად სახალხო დამცველის ჩართულობა.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარლამენტის დეპუტატები აპირებენ, თავდებში დაუდგნენ ოთარ აბესაძეს და ისინი შუამდგომლობას დააყენებენ სასამართლოს წინაშე. ასეა?

– მათ ხელს არავინ უშლით, შეუძლიათ ნებისმიერ დროს ნებისმიერი მოქმედება განახორციელონ, რაც სასარგებლო იქნება ოთარ აბესაძისთვის.

– ჯერ არ მიუმართავთ მათ სასამართლოსთვის?

– ჯერჯერობით ეს საკითხი არ დამდგარა დღის წესრიგში, თუმცა ინდივიდუალური დეპუტატები ნამდვილად რეკავენ და არიან დაინტერესებული მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. რამდენიმე დეპუტატმა საპატიმროშიც კი მოინახულა.

– იცით იმ დეპუტატთა რაოდენობა, ვინც აპირებს, რომ აბესაძეს თავდებში დაუდგეს?

– ამის თქმა ნამდვილად გამიჭირდება. მე როგორც ვიცი, დღეს ყველა ერთიანია, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებიც კი, იმ საკითხში, რომ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შემთხვევაში, არანაირი საფრთხე მართლმსაჯულების განხორციელებას არ დაემუქრება. აქ საუბარი არ არის მის გამართლებაზე, აქ საუბარია იმაზე, რომ ამ ადამიანმა წინასწარ პატიმრობაში არ გაატაროს დრო.

– ითქვა ისიც, რომ თქვენი დაცვის ქვეშ მყოფმა წონაში საგრძნობლად დაიკლო. ასეა?

– კი, ნამდვილად ასეა. მან წონაში 30 კილოზე მეტი დაიკლო. მას აწუხებს მაღალი წნევები და საერთოდ ჩვენ სახეზე გვაქვს ყველა წინაპირობა იმისთვის, რომ ოთარ აბესაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებოდა არასაპატიმრო ღონისძიება.

– ეს ყველაფერი რით დაუსაბუთეთ სასამართლოს?

– ის წარსულში ნასამართლევი არ არის, ის არ გახლავთ კრიმინალი, მას მიმალვა რომ უნდოდეს, ვერც კი მიიმალება, რადგან საზოგადოებისთვის ცნობილი პირია. ჩვენ სასამართლოს ვთავაზობდით, რომ ის ჩააბარებდა პირადობის მოწმობას, საზღვარგარეთის პასპორტს და მზად იყო ელექტრონული მონიტორინგით შინა პატიმრობისთვის. მოკლედ, ყველაფრისთვის მზად იყო, მისთვის მთავარი იყო მხოლოდ და მხოლოდ ესუნთქა საპატიმროს გარეთ. იმ დასკვნაში, რომელიც სასამართლოში ჩვენ მიერ წარდგენილი იყო, ცალსახად წერია, რომ მას აქვს პანიკური შიში დახურული სივრცის.

– ეს კავშირშია მის დაავადებებთან?

– ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ სწორედ დახურული სივრცის პანიკური შიში იყოს ბევრი დაავადების მაპროვოცირებელი. ამ ყველაფრის პასუხისმგებლობის აღება მოუწევს სასამართლოს. უნდა ილოცოს პროკურატურამაც და სასამართლომაც იმისთვის, რომ ოთარ აბესაძის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქროს და ის კარგად იყოს. სხვა შემთხვევაში პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება როგორც სასამართლოს, ისე პროკურატურას.

ვინ არიან სახალხო დამცველის ახალი მოადგილეები

სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ, რომელიც 2017 წლის მიწურულს პარლამენტმა დაამტკიცა სახალხო დამცველად, 10 იანვარს ახალი მოადგილეები წარადგინა.

პირველ მოადგილედ თამარ გვარამაძე, ხოლო მოადგილეებად გიორგი ბურჯანაძე და ეკა სხილაძე დანიშნა.

სხილაძე მანამდეც ომბუდსმენის მოადგილე იყო, ხოლო წინა სახალხო დამცველის პირველი მოადგილე ნათია კაციტაძე ომბუდსმენის აპარატში აღარ გააგრძელებს მუშაობას.

ვინ არიან ახალი მოადგილეები:

თამარ გვარამაძე, პირველი მოადგილე – ის იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) სამართლის აკადემიის უფროსი 2016-2017 წლებში.

2014-2016 წლებში – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი. ხოლო მანამდე ასევე მუშაობდა პროექტის კოორდინატორად საიაში. 2009-10 წლებში გვარამაძე მუშაობდა განათლების სამინისტროში საკადრო უზრუნველყოფისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსად.

გვარამაძე არის სამართლის დოქტორი [თსუ]. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია და სხვადასხვა სასწავლებლის მიწვეული ლექტორი.

გიორგი ბურჯანაძე, მოადგილე – ის 2014 წლიდან არის ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადამიანის უფლებათა პროგრამის მენეჯერი. 2010 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, მართლმსაჯულების დეპარტამენტში, ხოლო 2012-2014 წლებში ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტში – „საქართველოს სახალხო დამცველის მხარდაჭერა“. გიორგი ბურჯანაძემ თავისი პროფესიული კარიერა დაიწყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში. გიორგი ბურჯანაძე ფლობს სამართალმცოდნის ბაკალავრის ხარისხს (2009 წელი, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), სისხლის სამართლის მაგისტრის ხარისხს (2011, თსუ, იურიდიული ფაკულტეტი), შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მაგისტრის ხარისხს.

ეკა სხილაძე, მოადგილე – სახალხო დამცველის მოადგილეა 2016 წლიდან. 2013–2016 წლებში იყო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი; 2013 წლის სექტემბერი/ნოემბერი – ეროვნული კონსულტანტი ქალთა უფლებებზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია.

ნეტგაზეთი

თეა წულუკიანი: „2017 წელს პრეზიდენტმა 565 პირს უარი უთხრა მოქალაქეობის მინიჭებაზე“

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, 2017 წელს სერვისების განვითარების სააგენტოს დადებითი დასკვნის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტმა 565 პირს უარი უთხრა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე. მისივე თქმით, 565 პირიდან 89% საქართველოს ყოფილი მოქალაქე, საქართველოში დაბადებული ან მათი ოჯახის წევრი იყო.

– ამგვარი პოლიტიკა, ვფიქრობ, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სულისკვეთებას, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით მიენიჭებათ მათ, ვისთან მიმართებაშიც სახელმწიფო ინტერესი არსებობს. ჩვენ ვთლიდით და ახლაც ვთვლით, რომ საქართველოს ყოფილი მოქალაქისთვის, საქართველოში დაბადებული პირისთვის, საქართველოს მოქალაქის ოჯახის წევრისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფო ინტერესია, რადგან ეს ადამიანები ომიანობის, ეკონომიკური სიდუხჭირის ან სხვა გარდაუვალი სირთულის გამო დროებით დაშორდნენ სამშობლოს და სურთ დაბრუნება. მათ ჩვენ კარი უნდა გავუხსნათ, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

თეა წულუკიანმა ისაუბრა მოქალაქეობის საკითხთა კომისიის დაკომპლექტების წესში პრეზიდენტის მიერ განხორციელებულ ცვლილებებზე, რომელიც ძალაში 15 იანვრიდან შევა. ცვლილებების თანახმად, მოქალაქეობის საკითხთა კომისია, ოთხის ნაცვლად ექვსი წევრით დაკომპლექტდება და მას საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს.

– საქართველოს პრეზიდენტის მიერ შექმნილი ახალი რეალობის პირობებში, 15 იანვრიდან, იმ პირებს, ვისაც საქართველოს მოქალაქეობის მოპოვება სურთ, კვლავ შეეძლებათ განცხადება შეიტანონ ჩვენი სისტემის ტერიტორიულ სამსახურებში – იუსტიციის სახლებში, საზოგადოებრივ ცენტრებში, სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში. მაგრამ გასაუბრებასა და სხვა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს, ისინი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაივლიან. იმედი მაქვს, რომ კომისიის თავისთან გადატანით, საქართველოს პრეზიდენტი მის მიერ გასულ წელს წარმოებულ პოლიტიკას არ გააგრძელებს და მას პოზიტიური და სამართლიანი დინამიკით შეცვლის, – განაცხადა წულუკიანმა.

სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მოქალაქეობის საკითხთა კომისიის საქმიანობის ანგარიშის თანახმად, 2017 წელს, გიორგი მარგველაშვილმა უცხო ქვეყნის 3.000 მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

ტერორიზმის ხელშეწყობაში ბრალდებულ 33 წლის გოჩა საგინაძეს თურქეთში პატიმრობა შეეფარდა

ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით თურქეთის პროვინცია ტრაპიზონში დაკავებულ საქართველოს მოქალაქეს, 33 წლის გოჩა (ალი) საგინაძეს სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა, მის მეუღლეს კი თურქეთის ტერიტორიას დაატოვებინებენ.

თურქული მედიის ინფორმაციით, გოჩა საგინაძის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულია ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს მის კავშირს ახმედ ჩატაევთან და სირიაში ტერორისტულ საქმიანობაში მონაწილეობას. როგორც გამოცემა „მილიეთი“ წერს, საქართველოს მოქალაქე ცოლ-ქმარი თურქეთის ტერიტორიაზე არალეგალურად იმყოფებოდა და ჩაის პლანტაციაში მუშაობას აპირებდნენ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, 2017 წლის 26 დეკემბერს, თურქმა სამართალდამცველებმა გოჩა საგინაძე ახმედ ჩატაევის საქმის გამოძიების ფარგლებში მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს.

სუს-ის ცნობით, თურქი სამართალდამცველებისთვის გადაცემული ინფორმაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოპოვებული იყო ახმედ ჩატაევის კუთვნილი მობილური ტელეფონიდან, რომელიც თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი ბინიდან ამოიღეს.

ოფიციალური ინფორმაციით, ახმედ ჩატაევმა 21-22 ნოემბერს თბილისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს თავი აიფეთქა, მასთან ერთად მყოფი 2 პირის ლიკვიდაცია მოხდა, ერთი კი დაკავებულია.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წელს 102 აუდიტს ჩაატარებს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წელს 102 აუდიტს ჩაატარებს. აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, აუდიტებით დაიფარება ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის 86%.

2017 წელთან შედარებით, რაოდენობა 16 აუდიტით (19%-ით), ხოლო ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 5%-ით იზრდება.

ბიუჯეტის დაფარვის მაჩვენებელი 11,112,289 ლარია, მაშინ როდესაც გასულ წელს ეს მაჩვენებელი 9,463,759 ლარი იყო.

აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, 25 უწყებაში ფინანსური აუდიტი ჩატარდება, 58 უწყებაში შესაბამისობის აუდიტი, ხოლო 19 უწყებაში ეფექტიანობის აუდიტი.

2018 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახური არ ჩაატარებს ფინანსურ და შესაბამისობის გაერთიანებულ აუდიტს, რომელიც გასულ წელს 19 უწყებაში ჩატარდა.

ანზორ აბრალავა: „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის პროპაგანდას ვერ პასუხობს“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას.

– რამდენიმე თვის წინ სააკაშვილის მომხრეები აცხადებდნენ, რომ მესამე პრეზიდენტს რამდენიმე პიჯაკისა და სამგლოვიარო გვირგვინის გამო სჯიან. დღეს, განაჩენის 3-წლიანი პატიმრობის გამოტანის შემდეგ ნაციონალები ირწმუნებიან, რომ სააკაშვილს შეწყალების უფლების გამოყენების გამო უსამართლოდ დევნიან.

– ასეთი უტიფარია ნაცმოძრაობის წევრების განცხადებები. არადა, საუბარია სისხლიანი რეჟიმის შემოქმედზე, რომელმაც უამრავი მძიმე და ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაიდინა. საუბედუროდ, ნაცმოძრაობისა და მაგათი განაყოფების პროპაგანდას საზღვარი არ აქვს. „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობის პროპაგანდას ვერ პასუხობს. პროკურორმა ნადარეიშვილმა განმარტა, რას ეფუძნება ბრალდება. შეწყალების უფლება იმას არ ნიშნავს, რომ დამნაშავეები გამოუშვა ციხიდან. ეს დამნაშავეები გირგვლიანის მკვლელობაში მონაწილეობდნენ. ნაცმოძრაობამ ამ თემას სხვა მიმართულება მისცა და გაიძახის, უდანაშაულო ლიდერს პოლიტიკურად დევნიანო. სააკაშვილს პოლიტიკურად კი არ დევნიან, არ უყენებენ ბრალს ყველა ჩადენილ დანაშაულზე. ყველას დავიწყდა, რომ სააკაშვილის ოჯახს განათლების სისტემაშიც აქვს მიქარული. მის დედას უფასოდ გადაეცა უმაღლესი სასწავლებლები.

– ასეთი საქმეების გამოძიებას არავინ აპირებს.

– სხვას რომ ეს ჩაედინა, ხომ დასჯიდნენ? ნაციონალური მოძრაობა, რუსთავი 2 რჩებიან ხელშეუხებლებად ამ ქვეყანაში. მათ ეპატიებათ ის, რაც სხვებისთვის დასჯადია. ყველა ეთერში ნაციონალები სხედან და მათი პროპაგანდა უსინდისობის ყველა საზღვარს სცილდება.

– „ქართული ოცნება“ რატომ არ სცემს პასუხს?

– ერთი მიზეზი ისაა, რომ „ოცნებაში“ არიან ისეთებიც, რომლებიც ნაციონალების თანამონაწილეები იყვნენ.

– ამაზე საზოგადოებაში ბევრი საუბრობს. არსებობს ისეთი მოლოდინიც, რომ მორიგი საპარლამენტო არჩევნებისთვის ეს ძალები გაერთიანდებიან.

– გაერთიანდებიან და კარგ ჩიტსაც დაიჭერენ! მაგ ოდიოზური ალიანსის რეიტინგი კატასტროფულად დაბალი იქნება. ყველა მოქალაქეს პატივს ვცემ, მაგრამ არ შეიძლება, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანი იდეოლოგიურად მხარს უჭერდეს სააკაშვილს! არიან ისეთებიც, რომლებიც სააკაშვილს ემონებიან ანგარების გამო. არა მგონია, ამ პარტიების შერწყმა მოხდეს. ისე, პარტიიდან პარტიაში გადასვლა-გადმოსვლას ვერ აკრძალავ. მენშევიკები თავის დროზე 80.000 იყვნენ, მაგრამ შემდეგ ბოლშევიკების რიგები შეავსეს.

– ნაცმოძრაობა უფრო გააქტიურდება?

– პროპაგანდის მხრივ ამაზე მეტად როგორ უნდა გააქტიურდეს, არ ვიცი. ნაცმოძრაობის აქტივისტები ისტერიკული ტონით არწმუნებენ აუდიტორიას, თითქოს მესამე პრეზიდენტს პოლიტიკურად ავიწროებენ, ვითომ სააკაშვილის რეჟიმი დემოკრატიის და ხალხზე ზრუნვის ოაზისი იყო. მაშინ მოქალაქეები თავისით აბარებდნენ საკუთარ ქონებას სახელმწიფოს, ნებაყოფლობით სხდებოდნენ ციხეებში, სადაც კარგი პირობები იყო. 7 ნოემბერს და 26 მაისს აქციები იქ შეკრებილი ადამიანების ნათესავებმა დაარბიეს. სახელმწიფო ამაში არ მონაწილეობდა. კადრში ვანო მერაბიშვილი რომ ჩანს, ეს მერაბიშვილი კი არ იყო, არამედ სხვა პირი მისი გრიმით.

ნაცმოძრაობის უტიფრობა მოუკრეფავში გადადის, იმიტომ, რომ განსხვავებული აზრი იზღუდება. ლამის ყველგან ცენზურას აწესებს ნაცმოძრაობა. ესაა დიქტატურა დემოკრატიის სახელით. ეს დიქტატურა არ უშვებს ნაციონალების საწინააღმდეგო აზრის გავრცელებას და შერჩევით სჯის ადამიანებს. თუ ვინმე ნაციონალია, მას ყველაფერი ეპატიება, ხოლო თუ არა – მთელი სიმკაცრით მიეცემა პასუხისგებაში.

– თუ სააკაშვილის ექსტრადირება მაინც მოხდა, მისი მხარდამჭერები შეძლებენ საპროტესტო ტალღის აგორებას?

– ვერაფერს ვერ შეძლებენ. 2017 წლის ბოლოს სააკაშვილმა და მის უკან მდგომმა ძალებმა მოინდომეს რევოლუციური ინტერნაციონალი. საქართველოსა და უკრაინაში ფაქტობრივად შექმნილი იყო რევოლუციური კომიტეტები. ამ გეგმამ სრული ფიასკო განიცადა. არეულობის მოწყობა ნაციონალებს არც ადრე გამოუვიდათ. ახლა, გინდა მოხდეს სააკაშვილის ექსტრადიცია, გინდა არა, არაფრის აგორება აღარ გამოვა.

სახელწოდებამ „ანდროპოვის ყურები“ დადებითი და უარყოფითი შეფასებები მიიღო

ვარდების მოედანზე მრავალფუნქციური „რესპუბლიკის“ შენობა 13 იანვარს ოფიციალურად მიიღებს სტუმრებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გახსნამდე შენობის მიმართ საზოგადოების საკმაოდ დიდი ინტერესი გაჩნდა. განსაკუთრებული ყურადღება კი სამსართულიანი რესპუბლიკის შენობაში ბოლო სართულზე განთავსებულმა თევზისა და ზღვის პროდუქტების რესტორანმა „ანდროპოვის ყურებმა“ მიიქცია.

რესტორნისა და მრავალფუნქციური შენობის შესახებ „კომერსანტი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს „სილქ როუდ ჯგუფის“ უძრავი ქონების პროექტების ხელმძღვანელთან გიორგი მართან.

– როგორ გაჩნდა რესტორნის „ანდროპოვის ყურების“ შექმნის იდეა და რა იყო ამ ბიზნესში თავდაპირველად ჩადებული საწყისი კაპიტალი?

– „რესპუბლიკის“ შენობა თავიდანვე ჩაფიქრებული იყო, როგორც მრავალფუნქციური კულტურული და გასართობი ცენტრი. მთლიანად „რესპუბლიკაში“ განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 10 მილიონ ამერიკულ დოლარს. გაჩნდა იდეა, რომ აქ გახსნილიყო სრულიად გამორჩეული კონცეპტუალური რესტორანი. ეს არის პირველი რესტორანი საქართველოში, რომელიც სტუმრებს ატლანტიკის ოკეანის თევზეულის სრულ არჩევანს სთავაზობს. ევროპული რესტორანი, განსაკუთრებული მენიუთი, დახვეწილი ინტერიერით და ქალაქზე ღამაზი ხედებით, ნამდვილად ამშვენებს შენობას.

– სახელწოდებამ „ანდროპოვის ყურები“ დადებითი და უარყოფითი შეფასებები მიიღო. რესტორნის გახსნამდე საზოგადოების მხრიდან საკმაოდ დიდი ინტერესი სწორედ სახელწოდებამ გამოიწვია. რა მიზეზით შეირჩა სახელწოდება „ანდროპოვის ყურები“?

– „ანდროპოვის ყურები“ დღეს ირონიული მინიშნებაა იმაზე, თუ როგორ ჩაანაცვლა საბჭოთა სიმბოლიკა თანამედროვე დიზაინმა, უახლესი ტენდენციების სინთეზმა ისტორიული ადგილი.

რაც შეეხება თავად რესტორანს, მის ინტერიერზე ცნობილმა ფრანგულმა კომპანიამ Gilles & Bossier-იმ იმუშავა. ეს ბრენდი მსოფლიოს საუკეთესო რესტორნებისა და სასტუმროების დიზაინს ქმნის. მისი დიზაინერი პატრიკ ჟილი არაერთხელ ესტუმრა თბილისს. მისივე თქმით – რესტორნის კონცეფციის შექმნის ინსპირაცია თბილისის ისტორიული ადგილები და ძველი უბნები გახდა. თანამედროვე დროსა და გარემოზე ისტორიული მნიშვნელობის მორგების გამო იქნა არჩეული რესტორნის სახელწოდებაც.

რასაკვირველია, ამ სახელწოდებაში არის გარკვეული სარკაზმი. როგორც იცით, 2005 წლამდე აქ ბეტონის არკადებიანი ტრიბუნები იდგა, რომელიც კომუნისტური აღლუმებისთვის გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ არქიტექტორს, ბატონ ოთარ კალანდარიშვილს ეს მონუმენტი სხვაგვარად ჰქონდა ჩაფიქრებული, თუმცა საბოლოო სახით მისი იდეის განხორციელება ვერ მოხერხდა. ხალხმა კი მას „ანდროპოვის ყურები“ შეარქვა. ნაწილობრივ, მისი ფორმების გამო, მაგრამ უფრო მეტად იმდროინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე მინიშნების მიზნით.

„რესპუბლიკის“ ახალ შენობაში, რომელიც საბჭოთა დროის სიმბოლოს ნაცვლად აშენდა, შეიქმნა თანამედროვე მოთხოვნებზე გათვლილი მრავალფუნქციური სივრცე უახლესი ტექნოლოგიების და დიზაინის გამოყენებით. „ნოა სტუდიოს“ დიდი დამსახურებაა, რომ შენობა ასე ჰარმონიულად შეუერთდა მოედნის არქიტექტურულ ლანდშაფტს. აღსანიშნავია თამარ კვესიტაძის ნამუშევარი დიდი პანო, რომელიც შენობის შესასვლელშივე განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნის. „რესპუბლიკა“ არის ქართველი და ევროპელი დიზაინერების ერთობლივი შემოქმედების წარმატებული ნიმუში.

– დეტალურად რომ გვითხრათ, რას და როგორი ფორმით სთავაზობთ თქვენ მომხმარებელს? ასევე გვიამბეთ სამზარეულოს შესახებ, რადგან, როგორც ვიცი, ის საკმაოდ მრავალფეროვანი იქნება...

– როგორც უკვე აღვნიშნე, „რესპუბლიკა“ მრავალფუნქციური სივრცეა. სამსართულიანი შენობა თავისუფლად იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები გაიმართოს: კონფერენციები, პრეზენტაციები, კონცერტები, გამოფენები, ვახშამი იქნება ეს თუ წვეულება.

პირველ სართულზე მდებარეობს შოურუმი, სადაც სრულად არის წარმოდგენილი „წინანდლის მამულებში“ წარმოებული ღვინო და ჭაჭა. ბოლო სართულზე კი განთავსებულია თევზისა და ზღვის პროდუქტების რესტორანი „ანდროპოვის ყურები“, რომელიც 13 იანვრიდან უმასპინძლებს სტუმრებს. აქ იქნება ევროპული ლობსტერები, კიბორჩხალები, წითელი კრევეტები, მოლუსკები თუ ზღვის სხვა პროდუქტები.

ამასთან, რესტორანში მზადდება საუკეთესო საქონლის ხორცის კერძები, ისევე, როგორც კერძები ვეგეტარიანელებისთვის. ამდენად, „ანდროპოვის ყურებში“ ნებისმიერი გემოვნების ადამიანებზე მორგებული დელიკატესური კერძები გვაქვს. რესტორნის განკარგულებაშია ბარი და ტერასა თბილისის არაჩვეულებრივი ხედებით, რომლითაც საუკეთესო კლასიკური კოქტეილებითა და ქართული ღვინით ხელში შეგიძლიათ დატკბეთ. თუმცა, მთავარი, რაც აქ მოგიყვანთ, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მენიუა, რომელსაც ევროპელი მზარეულები, თევზის ევროპელი სპეციალისტები, Mipan Mazzucelli-ს ხელმძღვანელობით გვთავაზობენ.

– ბაზარზე საკმაოდ ამბიციური გეგმებით შემოდიხართ, ქვეყანა მსგავსი მრავალფუნქციური სივრცეების და რესტორნების სიმრავლით განებივრებული არ არის, თუმცა გარკვეულწილად კონკურენტები მაინც გყავთ. როგორ გაუწევთ სხვებს კონკურენციას?

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ მაღალი კლასის სერვისი, გამორჩეული მენიუ და განსაკუთრებული ატმოსფერო ნამდვილად მოიზიდავს მომხმარებელს. რესტორანი და მთელი შენობა რეზიდორ ჯგუფის მართვაშია. ისევე, როგორც სასტუმრო „რადისონ ბლუ“. რამდენიმე წელია უკვე სასტუმროს რესტორნები და ბარები – „ფილინი“, „უმამი“, „სერფეისი“, „ოქსიჯინი“, „ივერია კაფე“ დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ჯგუფს ნამდვილად აქვს სათანადო გამოცდილება, რომ ჩვენი ახალი რესტორანი ბაზარზე ერთ-ერთ ლიდერად, თბილისელებისთვის და თბილისის სტუმრებისთვის ერთ-ერთ საყვარელ ადგილად აქციოს.

– როგორია თქვენი საფასო პოლიტიკა და ძირითადად რა სეგმენტზეა გათვლილი?

– რესტორნისთვის კვირაში ორჯერ ახალი ზღვის პროდუქტი და თევზეული ჰოლანდიიდან გაუყინავად იმპორტირდება. ეს ნამდვილად გამონაკლისია ქართულ ბაზარზე და სწორედ ეს ქმნის მაღალი ხარისხის გარანტიას. შესაბამისად, ფასებიც საშუალოზე მაღალი იქნება. ჩვენი ძირითადი სეგმენტი ზღვის პროდუქტების ისეთი მოყვარულები იქნებიან, ვინც ხარისხს აფასებს.

– ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ დღეს ბაზარზე არაპროფესიონალი კადრები გვყავს. ეს ყველა სფეროს ეხება. თქვენ შემთხვევაში სარესტორნო სეგმენტს განვიხილავთ. ზოგადად, რას იტყვით ამ მიმართულებით არსებულ პრობლემაზე?

– ჩვენი მხრიდან არ იქნება კორექტული სხვა რესტორნების/კარდების განხილვა. ჩვენ ძალიან ვაფასებთ პროფესიონალ კადრებს, ვხარჯავთ დიდ რესურსს მათ მოსაძიებლად, გასავითარებლად, ტრეინინგებისთვის. მაგალითად, „ანდროპოვის ყურების“ მზარეულებს ტრეინინგები სპეციალურად მოწვეულმა მსოფლიოში განთქმულმა შეფებმა ჩაუტარეს.

– რა არის ყველაზე დიდი ხელშემშლელი ფაქტორი ქვეყანაში სარესტორნო ბიზნესში?

– ყველა ამგვარი ბიზნესის წარმატებისთვის აუცილებელია ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობა და ეკონომიკური აღმასვლა. რაც უფრო წარმატებული და განვითარებული იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო წარმატებული იქნება ჩვენი ბიზნესი და პირიქით, წარმატებული ბიზნესები ქვეყნის განვითარების ხელშეწყობაა, იქმნება სამუშაო ადგილები, ქვეყნის ხაზინაში იზრდება გადასახადები.

ჩვენ არ გაგვიჩერებია მუშაობა ყველაზე რთულ პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის და 2008 წლის ომის შემდეგ. ზუსტად მაშინ დავასრულეთ სასტუმრო რადისონი თბილისში, შემდეგ კი ბათუმში, რომელიც წარმატებული ბიზნესის მაგალითია, ამიტომ გვჯერა, რომ ახლაც და მომავალშიც მოვახერხებთ წარმატებული ბიზნესები შევმატოთ ქვეყანას.

– საუბრის ბოლოს, რას მეტყვით სამომავლო გეგმებზე და 13 იანვარს სივრცის ოფიციალურად გახსნის შესახებ? ასევე გვიამბეთ, როგორი გეგმები აქვს „სილქ როუდ ჯგუფს“?

– 13 იანვარს „რესპუბლიკა“ სრული დატვირთვით ამუშავდება. იფუნქციონირებს როგორც რესტორანი, ასევე ყველა სივრცე. მომავალში არაერთი საინტერესო კონცერტი თუ საღამოა დაგეგმილი და გვჯერა, რომ ეს ახალი შენობა გართობის ცენტრად გადაიქცევა. შენობაში მოეწყობა ელექტრომობილების შოუ-რუმი და ქართული რესტორანი „წინანდალი“.

„რესპუბლიკა“ ვარდების მოედნის განვითარების იმ მთლიანი კონცეფციის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც 2007 წლიდან „სილქ როუდ ჯგუფი“ ახორციელებს. 2007 წლიდან დღემდე სილქ როუდ ჯგუფს ადგილზე ჩადებული აქვს 200 მილიონი დოლარის ინვესტიცია. დამატებით ვარდების მოედნის განვითარებაში 100 მილიონი დოლარი ჩაიდება.

2018 წლიდან მიმდებარე ტერიტორიაზე, ფოსტის ყოფილ შენობაში 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო ტელეგრაფის მშენებლობა დაიწყება, რომელიც დაკავშირებული იქნება „რედისონთან“ ხიდებითა და გასართობი კომპლექსით. ამის შემდეგ იგეგმება მიწისქვეშა კომპლექსის განვითარებაც, სადაც მოეწყობა პარკინგი მთლიანი მოედნისთვის. მოედანი კი გადაიქცევა რეკრეაციულ სივრცედ, სადაც ქალაქის სტუმრები და ადგილობრივი მოსახლეობა დროის სასიამოვნოდ გატარებას შეძლებს. შეიქმება სრულიად უნიკალური სივრცე, რომელიც ნამდვილად აკლია და დაამშვენებს ჩვენს ქალაქს.

თბილისის ცირკის შენობას მყიდველი ამ დრომდე არ გამოუჩნდა

თბილისის ცირკის შენობას მყიდველი ამ დრომდე არ გამოუჩნდა. ამის შესახებ „კომერსანტს“ ობიექტის მფლობელ, პატარკაციშვილების ოჯახში განუცხადეს. მზია პატარკაციშვილი მცირე კომენტარით შემოიფარგლა – „ამ დრომდე ახალი არაფერია. ინტერესი ჯერ არავის არ გამოუთქვამს“.

როგორც ცნობილია, თბილისის ცირკის შენობის გაყიდვის შესახებ ინფორმაცია 2017 წლის ოქტომბერში გაჟღერდა. აგენტი Colliers International Georgia-ა. როგორც კომპანიის ვებგვერდზეა აღნიშნული, შენობა არის ისტორიული ნაგებობის მრავალფუნქციური განვითარების პოტენციით.

– იყიდება თბილისის ცირკის ისტორიული შენობა, რომელიც ცნობილი საბჭოთა არქიტექტორის, ნიკოლაი ნაპრინცევის მიერ 1939 წელს აშენდა. ნეოკლასიკური, მრგვალი ფორმის ნაგებობა 5 სართულს მოიცავს, საერთო ფართით 4,750 კვ.მ. ცენტრალურ შენობასთან ერთად, უძრავი ქონება შედგება 800კვ.მ ფართობის ადმინისტრაციული ერთეულისგან. აღნიშნულ შენობა-ნაგებობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული.

ქონება შესაბამისია მრავალფუნქციური განვითარებისთვის, მათ შორის ოფისის, სასტუმროს, საკონცერტო დარბაზის და სხვა დანიშნულების ადგილების მშენებლობისთვის. აქტივზე არსებობს ბიზნესგეგმა, რომლის გაცემაც შესაძლებელია მოთხოვნის შესაბამისად.

21, 014კვ.მ ფართობის აღნიშნული უძრავი ქონებიდან გმირთა მოედანზე, ქალაქის მთავარ სატრანსპორტო თავშეყრის ადგილზე იშლება ხედი. თბილისის სამი ყველაზე აქტიური და პოპულარული უბანი: ვაკე, ვერა (მთაწმინდა) და საბურთალო სწორედ ამ ადგილას ხვდება ერთმანეთს. შენობას აქვს თვალისმომჭრელი პანორამული ხედი თბილისის მთავარ ღირსშესანიშნაობებზე: ქალაის ისტორიულ ნაწილზე, მთაწმინდაზე და მტკვარზე“, აღნიშნულია ჩოლლიერს Iნტერნატიონალ ეორგია-ს განცხადებაში.

რაც შეეხება უძრავი ქონების ფასს, მისი ღირებულება 18 მილიონ დოლარს შეადგენს.

თბილისის ცირკი დღეს კერძო სამართლის იურიდიული პირია. ქართველი ბიზნესმენის და მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის მხარდაჭერით 2003 წელს განხორციელდა შენობის სრული კაპიტალური შეკეთება, 2007 წელს შენობა დალუქეს და მისი ხელახლა გახსნა მხოლოდ 2011 წელს მოხდა.

პატარკაციშვილების ოჯახის მიერ თბილისის ცირკის შესაძლო გაყიდვასთან დაკავშირებით ინფორმაცია ადრეც გავრცელდა. თუმცა მაშინ გარდაცვლილი ბიზნესმენის ოჯახმა ეს არ დაადასტურა.

ფინანსისტები კრიპტოვალუტების 60%-ის გაქრობას პროგნოზირებენ

ფინანსური ანალიტიკოსები თვლიან, რომ 2018 წელს ამჟამად არსებული კრიპტოვალუტების ნახევარი გაქრება. ყველაზე პოპულარულ ვირტუალურ ვალუტას – ბიტკოინს კი „ზომიერი კლება“ ელოდება.

მათი აზრით, ამის მიზეზია ინტერესის დაკარგვა ინვესტორების მხრიდან. სამაგალითო კრიპტოვალუტა – ბიტკოინი – შესაძლებელია მალე აღმოჩნდეს ფინანსური ბაზრის აუთსაიდერის როლში – უკვე დღეს მას წარმატებით ანაცვლებენ სხვა, უფრო იაფი ვალუტები – მაგალითად, ეთერიუმი.

მთლიანობაში ექსპერტები ვარაუდობენ კრიპტოვალუტების 60%-ის გაქრობას. ამავე დროს, მათივე თქმით, ბლოკჩეინის ტექნოლოგია პირიქით, გახდება სულ უფრო და უფრო პოპულარული.

წყალტუბოში სანატორიუმი „მეშახტე“ კიდევ ერთი წლის განმავლობაში ვერ გაიხსნება

წყალტუბოში სანატორიუმი „მეშახტეს“ გახსნა დაახლოებით ერთი წლით გადაიდო. ამის შესახებ „კომერსანტთან“ საუბრისას პროექტის ინვესტორი კომპანია „ქეი ბი ფი თბილისის“ ხელმძღვანელი ზვიად ზვიადაძე აცხადებს. მისი ინფორმაციით, 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს გახსნის გადავადება პროექტის შეცვლას უკავშირდება.

ახალი პროექტის მიხედვით სასტუმროში მასში 100-ის ნაცვლად 150 ნომერი განთავსდება. გაიზრდება ინვესტიციის მოცულობაც, რომელიც 40-45 მილიონი დოლარით იყო განსაზღვრული. სამშენებლო სამუშაოები 2018 წლის ნაცვლად 2019 წლის ბოლოსთვის დასრულდება. ზვიადაძე აცხადებს, რომ ამ დროისთვის მიმდინარეობს პროექტირების ეტაპი, რომლის დასრულების შემდეგაც უკვე დაზუსტდება, რამდენით გაიზრდება განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა და რომელი საერთაშორისო ბრენდი იქნება ოპერატორი.

კითხვაზე, თუ რამ განაპირობა პროექტის შეცვლა, ზვიადაძე არ აკონკრეტებს. თუმცა იმასაც განმარტავს, რომ წყალტუბოში ასეთი მსხვილი ინვესტიცია არ არის, ამიტომ „ქეი ბი ფი თბილისის“ კიდევ უფრო გაზრდილი ინვესტიცია რეგიონში სხვა ბიზნესმენებსაც დააინტერესებს.

შეგახსენებთ, „ქეი ბი ფი“ თბილისმა სანატორიუმი „მეშახტე“ 2015 წელს პირდაპირი მიყიდვის წესით 2,5 მილიონ დოლარად შეიძინა.

სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა№13-ში მდებარე სანატორიუმში 3 წლის ვადაში არანაკლებ 100-ნომრიანი, 5-ვარსკვლავიანი საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო განთავსდება იყო დაგეგმილი.

მთავრობამ კი ინვესტორის წინაშე გარკვეული ვალდებულება აიღო. კერძოდ, მთავრობა ვალდებულია სასტუმროსათვის ბუნებრივი აირის მიწოდების მიზნით, სათანადო მოცულობის (წნევით ბუნებრივი აირის გატარების) მილის გაყვანა უზრუნველყოს, რისთვისაც ფული საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ბიუჯეტიდან დაიხარჯება.

საქართველოს პასპორტმა 67-ე პოზიციიდან 53-ე ადგილზე გადაინაცვლა

Henley Passport Index-ის 2018 წლის რეიტინგის მიხედვით, გერმანიის პასპორტი ოფიციალურად მსოფლიოში ყველაზე ძლიერ პასპორტად დასახელდა.

გერმანია უკვე მეხუთე წელია ლიდერობს რეიტინგში, რომელიც იმის მიხედვით ყალიბდება, თუ რამდენ ქვეყანაში შეუძლია პასპორტის მფლობელს უვიზოდ მოგზაურობა.

გერმანიის მოქალაქეებს ამჟამად უვიზოდ 177 ქვეყანაში შესვლა შეუძლიათ, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 1 ქვეყნით აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის წყალობით რეიტინგში ყველაზე დიდი წინსვლა უკრაინამ (59-დან 44-ე ადგილზე) და საქართველომ (67-დან 53-ე ადგილზე) დააფიქსირეს. საქართველოს მოქალაქეებს უვიზოდ მოგზაურობა მსოფლიოს 99 ქვეყანაში შეუძლიათ.

წარმოგიდგენთ მსოფლიოს 15 ყველაზე ძლიერ პასპორტს და მათი მფლობელებისთვის უვიზოდ ხელმისაწვდომი ქვეყნების რიცხვს:

1. გერმანია 177; 2. სინგაპური 176; 3. დანია, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ნორვეგია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი 175; 4. ავსტრია, ბელგია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვეიცარია 174; 5. ირლანდია, სამხრეთ კორეა, პორტუგალია, აშშ 173; 6. კანადა 172; 7. ავსტრალია, საბერძნეთი, ახალი ზელანდია 171; 8. ჩეხეთი, ისლანდია 170; 9. მალტა 169; 10. უნგრეთი 168; 11. ლიხტენშტეინი, სლოვაკეთი, სლოვენია 167; 12. ლატვია, ლიტვა, მალაიზია 166; 13. ესტონეთი 165; 14. პოლონეთი 163; 15. მონაკო 162

რა დარღვევები გამოვლინდა თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში

2017 წლის განმავლობაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ჯამში მონიტორინგი ჩაუტარდა თანამდებობის პირთა 287 ქონებრივ დეკლარაციას. აქედან 284 შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩა, ხოლო 3 დეკლარაცია დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე. საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, მონიტორინგის შედეგად 224 დეკლარაცია უარყოფითად, ხოლო 56 დეკლარაცია დადებითად შეფასდა.

ბიუროს ცნობით, დეკლარაციების შემოწმების დროს უარყოფითად შეფასების საფუძველი შემდეგი ძირითადი დარღვევები გახდა: შეუსაბამობა უძრავი ქონების ფართებში (დეკლარანტს მითითებული აქვს დაახლოებითი ფართი და არა რეალური ფართი, რაც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბაზებში); დაუდეკლარირებელი უძრავი ქონება, რომელიც რეგისტრირებულია ოჯახის

წევრის სახელზე და არის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ცდომილება საბანკო ანგარიშების დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით ჩაწერილ ნაშთსა და საბანკო ამონაწერში დაფიქსირებულ ნაშთს შორის; დაუდეკლარირებელი საბანკო (დამხმარე) ანგარიშები; შეცდომით დაანგარიშებული მატერიალური შედეგები სასესხო ხელშეკრულებების შემთხვევებში; სამეწარმეო საქმიანობის შემთხვევაში, არ ფიქსირდება საწარმოების წილების ან/და ინდივიდუალური მეწარმეობის თაობაზე ინფორმაცია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო დაფუძნებიდან დღემდე ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს და ანაზღაურებადი საქმიანობის ნაწილში დარღვევები: ოჯახის წევრების შემოსავლების არდაფიქსირება ან განსხვავებული ოდენობით დაფიქსირება, წლიური შემოსავლის არასწორად/ზეპირად დაანგარიშება და არა დაწესებულების ბუღალტრისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დაბეგრილი (ხელზე მიღებული) შემოსავლის

დეკლარირება დაუბეგრავის (დარიცხულის) ნაცვლად.

ამასთან, საჯარო ბიუროს ინფორმაციით, დეკლარაციებში აღმოჩენილი დარღვევების გამო ზოგიერთი თანამდებობის პირები დაჯარიმდნენ. მათ შორის არიან: 6 მოსამართლე, პრეზიდენტის მრჩეველი ფიქრია ჩიხრაძე; თბილისის საკრებულოს შემთხვევაში დაჯარიმდა – 1 პირი, გამგეობების თანამდებობის პირებიდან დაჯარიმდა 5 დეკლარანტი, თბილისის მერიის სსიპ-ების თანამდებობის პირებიდან კი 2 მათგანი დაჯარიმდა.

2018 წელს საქართველოს 3,184 მილიარდი დოლარის საგარეო ვალის გასტუმრება მოუწევს

2018 წლის განმავლობაში ქვეყნიდან 3, 184 მილიარდი დოლარი გავა – ეს ის თანხაა, რაც ქვეყანას წლის განმავლობაში საგარეო ვალის გადახდისთვის მოუწევს. ეროვნული ბანკის მონაცემით, პირველ კვარტალში გადასახდელი თანხა ჯამში 1,078 მილიარდ დოლარს შეადგენს, მეორე კვარტალში – 1.008 მილიარდი დოლარს და 2018 წლის ბოლო თვეებში 1,097 მილიარდ დოლარს.

ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი საქართველოს საგარეო ვალის გადახდის განახლებული გრაფიკის მიხედვით, 2018 წლის პირველ კვარტალში სამთავრობო სექტორის 97,8 მლნ დოლარის საგარეო ვალის დაფარვა მოუწევს, ეროვნულ ბანკს – 0,6 მლრდ დოლარის, კომერციულ ბანკებს – 336,4 მლნ დოლარის. ამასთან, საგარეო ვალის განახლებული გრაფიკის მიხედვით სხვა სექტორს 445 მლნ დოლარის საგარეო ვალის დაფარვა მოუწევს. პირდაპირი ინვესტიციები – კომპანიათაშორისი სესხებისთვის გადასახდელი თანხა 198,5 მლნ დოლარს შეადგენს.

როგორ ატყუებენ სესხის ამომღები კომპანიები მოვალეებს?

„სესხის ამომღები კომპანიები საერთო ბაზებს ქმნიან და მონაცემებს ცვლიან, რადგან უფრო მეტი რესურსით შეძლონ სესხების ამოღება“ – ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსს“ პრობლემურ მსესხებელთა ასოციაციის პროექტების მართვისა და აუდიტის დეპარტამენტის მენეჯერმა, ალექსანდრე ადამაშვილმა, განუცხადა.

მისივე თქმით, კვლავ გრძელდება მსესხებელთა მონაცემების მესამე პირებზე გაცემა და სწორედ ამ მიზანს ემსახურება ერთიანი ბაზების შექმნაც, რადგან სესხის ამომღებმა კომპანიებმა უფრო მეტი პირის იდენტიფიცირება შეძლონ, მეტ მსესხებელს დაუკავშირდნენ და თანხები მუქარით ამიღონ.

– გვაქვს ინფორმაცია, რომ სესხის ამომღები კომპანიები ქმნიან ერთიან ბაზებს, ცვლიან საკუთარ ბენეფიციართა მონაცემებს, რათა შეძლონ დამატებითი პირების იდენტიფიკაცია. შესაბამისად უფრო მეტ მსესხებელთან, მათ ახლობლებთან, მეზობლებთან მოახერხებენ დაკავშირებას და თანხების მუქარით თუ სხვა საშუალებით ამოღებას. სასამართლოს და აღსრულების ეროვნული ბიუროს სახელით ხდება მსესხებლების შეცდომაში შეყვანა. საახალწლოდ ამის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. კერძოდ, სესხის ამომღები კომპანიები უგზავნიდნენ მოქალაქეებს შეტყობინებებს, რომ მათი საქმე აღსრულების ბიუროში იყო გადაცემული და ქონების დაყადაღება მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ამისამართებდნენ ფიქტიურ გვერდზე, სადაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მისამართი, ლოგო იყო მითითებული და მოქალაქეები შეცდომაში შეყავდათ. თუმცა, როდესაც თითოეული ასეთი საქმე გადავამოწმეთ, არც ერთი მათგანი არ ყოფილა სასამართლოსა და აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადაცემული, – აღნიშნავს ადამაშვილი.

ამასთან, მისივე თქმით, პრობლემურ მსესხებელთა ზუსტი მონაცემები არ არსებობს, თუმცა, უხეში დათვლებით მათი რაოდენობა 800 ათასიდან 1 მილიონ ადამიანამდეა. რაც შეეხება სესხის ამომღებ კომპანიებს, ადამაშვილის ინფორმაციით, ბაზარზე ძირითადად 4-5 ამომღები კომპანიაა, რომლებსაც შვილობილი კომპანიები ჰყავთ და სწორედ ისინი აგზავნიან მსესხებლებთან ფიქტიურ შეტყობინებებს, აღმასრულებლის სახელით უკავშირდებიან, ემუქრებიან და ა.შ.

ხობში მომხდარ ავარიას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი ემსხვერპლა

ხობის რაიონის სოფელ ხამისკურში მომხდარი ავტოავარიის შედეგად დაშავებული ერთ-ერთი სამართალდამცავი გარდაიცვალა, მძიმე მდგომარეობაშია მეორე დაშავებულიც, დანარჩენი ოთხი პირის მდგომარეობა კი შედარებით სტაბილურია.

არსებული ინფორმაციით, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ზუგდიდის სამმართველოს თანამშრომლების ავტომანქანა ავარიაში დღეს მოყვა. შემთხვევის შედეგად 6 პირი დაშავდა.

იტალიაში მატარებელი საქართველოს მოქალაქეს დაეჯახა

იტალიაში საქართველოს საკონსულო ადასტურებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ქალაქ ნატურნოში მატარებელი საქართველოს მოქალაქეს დაეჯახა. საკონსულოს ცნობითვე, 1983 წელს დაბადებული მამაკაცი ადგილზევე გარდაიცვალა.

საქართველოს საკონსულოში აცხადებენ, მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით საკონსულოში შეტყობინება შესულია. საკონსულო კონტაქტზეა ადგილობრივ პოლიციასთან და ოჯახის ახლობელთან. როგორც კი დასრულდება პროცედურები, დაიწყება გადმოსვენებაზე მუშაობა.

მდინარე რიონიდან მაშველებმა 5 ადამიანი გამოიყვანეს

სოფელ ბაშაში, ადიდებული რიონიდან მაშველებმა 5 ადამიანი გამოიყვანეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, მაშველებმა ხუთივე ადამიანი წყალზე სამაშველო ტექნიკის გამოყენებით, ნაპირზე უსაფრთხოდ გაიყვანეს.

ეჭვმიტანილი ბინაში კარადის თავზე დამალული იპოვეს — შემთხვევა ქუთაისში

ქუთაისში, ერთ-ერთ ბინაში, ქურდობაში ეჭვმიტანილი კარადის თავზე დამალული იპოვეს. შემთხვევა კუპრაძის ქუჩაზე მოხდა.

თვითმხილველთა თქმით, ბრალდებული, რომელიც სახლში სახურავიდან ჩავიდა, მეზობელმა შენიშნა და პოლიციას გამოუძახა.

პოლიციამ კი ის ბინაში, კარადის თავზე დამალული იპოვა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება ქურდობის მცდელობის ფაქტზე საქართველოს სსკ-ს 19-177-ე მუხლით მიმდინარეობს.

ქუთაისში მშენებარე სასტუმროდან მამაკაცი გადმოვარდა და გარდაიცვალა

ქუთაისში, ხახანაშვილის ქუჩაზე მშენებარე სასტუმროდან 60 წლამდე ასაკის მამაკაცი გადმოვარდა და ადგილზე გარდაიცვალა.

სავარაუდოდ, მამაკაცს გული გაუსკდა, რის შემდეგაც, სიმაღლიდან ჩამოვარდა.

პროკურატურა ჩხვირკია-ღოღობერიძის მიმართ გამოტანილ განაჩენს გაასაჩივრებს

პროკურატურა აპირებს სააპელაციო წესით გაასაჩივროს ბათუმში, 11-12 მარტს მომხდარ მოვლენებში ბრალდებული ირაკლი ჩხვირკიასა და მერაბ ღოღობერიძისთვის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი, რომლის მიხედვითაც მათ 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ. აღნიშნულთან დაკავშირებით უწყება განცხადებას ავრცელებს, რომელსაც ნიუპოსტი უცვლელად გთავაზობთ:

– ბათუმის საქალაქო სასამართლომ ჯგუფური მოქმედების ორგანიზებაში, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მ.ღ. და ი.ჩ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით.

სამართალდამცველებმა მ.ღ. 2017 წლის 23 აპრილს ქ. ბათუმში, ხოლო ი.ჩ. იმავე დღეს ქ.თბილისში დააკავეს, მათ ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) წარედგინათ და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ.ღ.-მ და ი.ჩ-მ 2017 წლის 11-12 მარტს, ქალაქ ბათუმში განახორციელეს ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რასაც მოჰყვა მასობრივი არეულობა, გზების გადაკეტვა, მოძრაობის შეფერხება, ქალაქის ინფრასტრუქტურის განადგურება და ავტომანქანების დაწვა, ასევე შეფერხდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა.

სასამართლომ ბრალდებულების მიერ ჩადენილი ქმედება დააკვალიფიცირა სისხლის სამართლის კოდექსის 226-ე მუხლით (ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს ან დაკავშირებულია ხელისუფლების წარმომადგენლების კანონიერი მოთხოვნებისადმი აშკარა დაუმორჩილებლობასთან, ან რომელმაც ტრანსპორტის, საწარმოს, დაწესებულების, ან ორგანიზაციის მუშაობის შეფერხება გამოიწვია) და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ბრალდების მხარე აღნიშნულ გადაწყვეტილებას სააპელაციო წესით გაასაჩივრებს, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

ენგურის ხიდთან აქციაზე ერთი პირი დააკავეს

ენგურის ხიდზე ოთხთვალა ურმის ერთ-ერთი მფლობელი სოფო მიქაია დააკავეს. სამართალდამცავებმა მიქაია მაშინ დააკავეს, როდესაც ის ენგური-ზუგდიდის დამაკავშირებელი გზის გადაკეტვას ცდილობდა.

ადგილზე მყოფი სამართალდამცავების ინფორმაციით, ის ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული. ამ დროისთვის ადგილზე მობილიზებულია პოლიცია.

ენგურის ხიდთან ოთხთვალა ურმების მფლობელები გაიფიცნენ. აქციის მონაწილეების განცხადებით, აღნიშნულ ტერიტორიაზე არალეგალურად სამი მიკროავტობუსი მოძრაობს და მათ მუშაობის საშუალება არ ეძლევათ.

– მგზავრები აღარ გვყავს და ოჯახები ულუკმაპუროდ გვრჩება. მხოლოდ ეს სამი მიკროავტობუსი ახერხებს მუშაობას, რომლებსაც გარკვეული პირები მფარველობენ, – აცხადებენ ისინი.

აქციის მონაწილეების განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ეს პრობლემა დროულად არ მოგვარდება, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართავენ.

თაღლითობის ბრალდებით ბათუმში ხუთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი 5 პირი: 1991 წელს დაბადებული ბ.ქ., 1991 წელს დაბადებული გ.ღ., 1986 წელს დაბადებული გ.გ., 1990 წელს დაბადებული გ.ქ. და 1990 წელს დაბადებული ლ.ფ., თაღლითობის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 4-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა ბათუმში მდებარე ერთ-ერთ სლოტ-კლუბში სათამაშო აპარატი წინასწარი შეთანხმებით დააზიანეს, თაღლითური გზით 10 760 ლარი მოიგეს, შემდეგ მოგებული თანხა აიღეს და შენობა დატოვეს. კლუბის თანამშრომლებმა მომხდარი ფაქტი საეჭვოდ მიიჩნიეს და სამართალდამცველებს მიმართეს. პოლიციამ ხუთივე პირი შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ცხელ კვალზე დაიკავა. დადგინდა, რომ დაკავებულები მიმდინარე წლის დეკემბერში, მსგავსი თაღლითური სქემის გამოყენებით, სხვადასხვა ოდენობის თანხას რამდენჯერმე დაეუფლნენ.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით, არაერთგზის ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც ოთხიდან ცხრა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურორი: „გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ საედი დუდაევი სინამდვილეში შოაიფ ბორზიევია“

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმის პროკურორის ნანა ხუნჯუას ინფორმაციით, გამოძიებას ჯერ საბოლოოდ არ ყავს იდენტიფიცირებული თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე დაკავებული პირი. როგორც პროკურორმა აღნიშნა, ამ ეტაპზე, 22 ნოემბრის სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული პირი საქმეში საედი დუდაევის სახელით ფიგურირებს, თუმცა გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ ბრალდებული, შესაძლოა, შოაიფ ბორზიევია.

– გამოძიებაში მოპოვებულია ინფორმაცია, რომ საედი დუდაევი სინამდვილეში არის შოაიფ ბორზიევი, თუმცა პიროვნების იდენტიფიკაციის კუთხით გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები, რომლის ამოწურვის შემდგომ მიღებული იქნება გადაწყვეტილება პიროვნებად ცნობის შესახებ, – განაცხადა პროკურორმა.

მან ასევე განმარტა, თუ რატომ ითხოვს პროკურატურა ამ საქმეზე წინასასამართლო სხდომის ვადის გაგრძელება.

– საქმე გახლავთ ძალიან რთული, ძალიან მოცულობითი. მიმდინარეობს ინტენსიურ რეჟიმში გამოძიება და სწორედ საქმის სირთულიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, გამოძიებისთვის მოცემული ვადა არაა საკმარისი, რის გამოც მივმართეთ სასამართლოს წინასასამართლო სხდომის თარიღის გადაწევის შუამდგომლობით, – განაცხადა ნანა ხუნჯუამ.

ხმოვანი სატყუარა — რა აღმოაჩინეს მებაჟეებმა სარფში

24 დეკემბერს საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, ეჭვის საფუძველზე, თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან მომავალი საქართველოს მოქალაქის, გ.ც-ს მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის დათვალიერებისას არადეკლარირებული საქონელი, კერძოდ, ხმოვანი სასიგნალო იარაღი – 20 ცალი, პნევმატური იარაღი – 20 ცალი, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღი – 3 ცალი, ხმოვანი ვაზნა – 12,500 ცალი, პიროტექნიკური ვაზნა – 400 ცალი, სანადირო ელექტრონული ხმოვანი სატყუარა – 16 ცალი, პნევმატური იარაღის სამიზნე – 18 ცალი, იარაღის ღვედის სამაგრი კროშტეინი – 24 ცალი, ქანჩის ექვსკუთხა გასაღები – 2 ცალი, იარაღის ჩამკეტი – 10 ცალი, სასხლეტი მექანიზმის ნაწილი – 11 ცალი, სანადირო იარაღის ლულის დამაგრძელებელი – 5 ცალი და 4 ცალი კონდახი აღმოაჩინეს. საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 11,664.4 ლარი შეადგინა.

საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურის აჭარისა და გურიის სამმართველოს გადაეცა.

წითელ ხიდზე 12 ათას ლარამდე ღირებულების ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

9 იანვარს საბაჟო გამშვებ პუნქტში „წითელი ხიდი“, 11,609.43 ლარის ღირებულების არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა აზერბაიჯანის მოქალაქის, ა.ჰ-ს ეჭვის საფუძველზე კუთვნილი ხელბარგის დათვალიერებისას, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (ყელსაბამი 1ც, ბეჭედი 1ც, ნაკრები ოთხეული – საყურე, ბეჭედი, ყელსაბამი და სამაჯური 1ც), საერთო წონით – 68,82 გრამი აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ 11,609.43 ლარი შეადგინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით შეეფარდა ჯარიმა 11,609.43 ლარის ოდენობით.

„საქართველოს ბანკს“ შსს-ს დაცვის პოლიცია დაიცავს

„საქართველოს ბანკს“ შსს-ს დაცვის პოლიცია დაიცავს. დაცვის პოლიციის თანამშრომლები „საქართველოს ბანკის“ უსაფრთხოების დაცვას და რისკების პრევენციას შესაბამისი შეიარაღებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და „საქართველოს ბანკს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, გიგა ნიკოლეიშვილმა და „საქართველოს ბანკის“ ოპერაციების დირექტორის მოადგილემ, ალექსანდრე გამყრელიძემ მოაწერეს.

დოკუმენტის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი უზრუნველყოფს „საქართველოს ბანკის“ სერვის-ცენტრების დაცვას საპოლიციო ძალით, ხოლო ობიექტების პატრულირებას სპეციალურად ბანკისთვის გამოყოფილი სათანადოდ აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალებები განახორციელებენ.

– მემორანდუმის მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციასა და „საქართველოს ბანკს“ თანამშრომლობის გაღრმავება, ბანკის სერვისცენტრების, მათი თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოების გაძლიერება, – აცხადებენ შსს-ში.

დაცვის პოლიციის თავმჯდომარემ, გიგა ნიკოლეიშვილმა „საქართველოს ბანკის“ ოპერაციების დირექტორის მოადგილეს, ალექსანდრე გამყრელიძეს დაცვის პოლიციის აღჭურვილობა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები დაათვალიერებინა.

პოლონეთში მინისტრები მოხსნეს

პოლონეთის ახალმა პრემიერმა მორავეცკიმ ქვეყნის ხელისუფლებაში ცვლილებები მოითხოვა.

მან პრეზიდენტ დუდას თავდაცვის მინისტრ მაჩერევიჩის, საგარეო საქმეთა მინისტრ ვაშჩიკოვსკის, გარემოს დაცვის მინისტრ შუშკოს გადაყენება მოსთხოვა. „შავ სიაში“ მოხვდნენ ჯანდაცვის მინისტრი რაძივილი და ციფრული ტექნოლოგიების მინისტრი სტრეჟინსკაია.

პრეზიდენტი დუდა ერთხანს ყოყმანობდა, თუმცა საბოლოოდ პრემიერის წინადადება მიიღო. პოლონეთის პოზიციები საერთაშორისო არენაზე შეირყა. ქვეყნის შიგნითაც მმართველი პარტიის გავლენა დაეცა. პრეზიდენტიც საკადრო ცვლილებებს დათანხმდა.

ხსენებულმა მინისტრებმა თანამდებობა დატოვეს.

ვაშინგტონში რუსეთის საელჩოს წინ მოედანს ნემცოვის სახელი უწოდეს

ვაშინგტონის ქალაქის საბჭომ რუსეთის საელჩოს პირდაპირ მდებარე მოედნისთვის ბორის ნემცოვის სახელის დარქმევას მხარი დაუჭირა. ახალ ფირფიტას მოედანზე 24 თებერვალს ჩამოჰკიდებენ, როცა ნემცოვის მკვლელობიდან მორიგი წლისთავი აღინიშნება.

მოსკოვში ამ გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდნენ. კრემლის პოზიცია ტრადიციულად ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გაახმოვანა:

– ამერიკელებმა სილა გაგვაწნეს! – თქვა ჟირინოვსკიმ.

რუსი ლიბერალ-დემოკრატების ლიდერმა მორიგი ექსცენტრიული წინადადება წამოაყენა:

– ამერიკაში სახელმწიფოს მტრებს ბევრად უფრო მკაცრად უსწორდებიან, ვიდრე რუსეთში! ავიღოთ თუნდაც სემინოლების ბელადი ოცეოლა! ის სამშობლოს ამერიკელი დამპყრობლებისაგან იცავდა, ამიტომაც მოკლეს! წინადადება შემომაქვს, რომ მოსკოვში ოცეოლას მოედანი გაჩნდეს, – თქვა ჟირინოვსკიმ.

თურქეთმა რუსეთსა და ირანს პროტესტი განუცხადა



თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთისა და ირანის ელჩები დაიბარეს. თურქეთმა მათ ასადის უკანასკნელი ქმედებების გამო პროტესტი განუცხადა.

– ბაშარ ასადის არმიამ უსაფრთხოების ზონის საზღვარი გადალახა! ეს სირიაში ესკალაციის ახალ საფრთხეს ქმნის, – ამტკიცებს თურქეთის ხელისუფლება.

ოფიციალური ანკარა ხაზს უსვამს, რომ ასადი შეტევაზე როგორც რუსეთის, ისე ირანელი სამხედროების მხარდაჭერით გადავიდა. თურქები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ მოსკოვმა და თეირანმა ასადზე თავისი გავლენა გამოიყენონ და შეტევის შეჩერება აიძულონ.

პაკისტანში ტერორისტმა პოლიციასთან თავი აიფეთქა

პაკისტანის ქალაქ კვეტასში (ბელუჯისტანის პროვინციის დედაქალაქი) უცნობი ტერორისტი თავს დაესხა პოლიციის განყოფილებას. მან პოლიციის შენობის მახლობლად თავი აიფეთქა.

შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, 25 დაშავდა.

მომხდარის გამო ჯერჯერობით პასუხისმგებლობა არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. შესაბამისად უცნობია, ეს მარტოხელა ტერორისტის ნამოქმედარია თუ მის უკან რომელიმე ორგანიზებული ჯგუფი დგას.

რუსეთის მოქალაქე გატაცებული ჯავშანტრანსპორტიორით მაღაზიაში შევარდა

მამაკაცი მაღაზიაში დააკავეს.

რუსეთში, მურმანსკის ოლქის ქალაქ აპატიტის მცხოვრები გატაცებული ჯავშანტრანსპორტიორით ერთ-ერთ მაღაზიაში შევარდა. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ წერს.

30 წლამდე მამაკაცმა ავტოსკოლის სადგომიდან ჯავშანტრანსპორტიორი გაიტაცა და ტყის მასივის გავლით ქალაქში მოხვდა. წინასწარი ინფორმაციით, ის ნასვამი იყო.

– ჯავშანტრანსპორტიორი ერთ-ერთ მაღაზიასთან მივიდა, შეეჯახა იქვე მდგარ ავტომობილს და მაღაზიაში შევარდა, – განაცხადა თვითმხილველმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ბრიტანელი შვილის ქუდმა შეურაცხყო

ბრიტანელმა ქალმა თავის ქალიშვილის ქუდი სექსიზმში დაადანაშაულა. 52 წლის შან რობსონი, რომელიც ბრიტანეთის კენტის საგრაფოს ქალაქ აშფოდში ცხოვრობს, საშინლად

გაბრაზდა, როდესაც თავისი შვილის ქუდის შიდა მხარეს განთავსებულ იარლიყზე რეცხვისთვის განკუთვნილ ინსტრუქციაში ამოიკითხა „ან მიეცი დედაშენს და ის გაგირეცხავს“.

რობსონის თქმით, ის გააცოფა იმან, იგივე ბრენდი თავს წარმოაჩენს, როგორც ფემინისტური, მაგრამ ამავე დროს სექსისტურ გამოთქმებსაც არ თაკილობს. ის მიიჩნევს, რომ ეს შეტყობინება შესაძლოა არასწორად იქნეს აღთქმული ახალგაზრდების მიერ.

– ჩემმა ქალიშვილმა მთხოვა მისი ქუდის იარლიყი მენახა, ვინაიდან, ის უბრალოდ საზიზღრობა იყო, – განმარტა ბრიტანელმა ქალბატონმა, – მე მესმის, რომ ეს ხუმრობაა, მაგრამ ახლა 1960 წელი არაა და უნდა დავანახოთ, რომ მამაკაცებსაც შეუძლიათ ოჯახური სამუშაოების შესრულება.

ქალი ირწმუნება, რომ ის იმათ რიცხვს არ განეკუთვნება, რომლებიც ყველაფერში სექსიზმს ხედავენ, თუმცა ტვიტერში ბრენდის აკაუნტში კომენტარი გააკეთა, თუმცა მათ ჯერ არ უპასუხიათ.

ხუთი წლის ბავშვებს სიგარეტი მოაწევინეს

პორტუგალიის სოფელ ვალე-დე-სალგეირუში პატარა ბავშვებს კათოლიკური დღესასწაულის ღვთის მოვლინებასთან დაკავშირებით სიგარეტის მოწევის უფლება მისცეს.

ამ დღესასწაულის დროს ვალე-დე-სალგეირუში ანთებენ კოცონს, რომლის გარშემოც ცეკვავენ და ირჩევენ „მეფეს“, რომელიც მოზეი-

მეებს ღვინითა და საუზმით უმასპინძლდება. მშობლები ამ დღეს ყიდულობენ სიგარეტს და მათ ხუთი და მეტი ასაკის ბავშვებს სთავაზობენ. მიუხედავად ქვეყნის სხვა რეგიონების მცხოვრებთა უკიდურესად ნეგატიური დამოკიდებულებისა ამ ტრადიციის მიმართ, სოფლის მცხოვრებნი მას კვლავაც ინარჩუნებენ.

ადგილობრივი კაფეს მეპატრონემ, 35 წლის გილერმინა მათეუსმა თავის პატარა გოგონას დღესასწაულზე სიგარეტი მოაწევინა და ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს.

– ისინი ხომ მართლა არ ეწევიან, – ამბობს მათეუსი, – და ეს მხოლოდ ორ დღეს ხდება. მერე ისინი მოწევას აღარ ითხოვენ.

ვეშაპმა ქალი ზვიგენისგან გადაარჩინა

ვეშაპმა მკვლევარი ქალი ზვიგენის თავდასხმისგან გადაარჩინა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს, ხოლო ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო იუთუბიზე გამოქვეყნდა.

ინციდენტი წყნარი ოკეანის სამხრეთ ნაწილში კუკის კუნძულთან მოხდა. ბიოლოგი ნენ ჰაუზერი ვეშაპის ახლოდ დაცურავდა და ვერ შენიშნა თუ როგორ მიცურდა მასთან სამეტრიანი ვეფხვისებური ზვიგენი. როგორც კი მტაცებელი შენიშნა, ვეშაპმა ქალის დაცვა დაიწყო, მას საკუთარი ფარფლებით ფარავდა. რაღაც მომენტში ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველმა 63 წლის ჰაუზერი ზურგით წყლის ზედაპირზეც კი ამოიყვანა. ჰაუზერის თქმით, შორიახლოს კიდევ ერთი ვეშაპიც დაცურავდა, რომელიც ასევე ცდილობდა მისთვის ზვიგენი მოეშორებინა.

თავად ბიოლოგი მიიჩნევს, რომ ეს შემთხვევა იმის მტკიცებულებას წარმოადგენს, რომ ვეშაპებს სხვა არსებების დაცვის ინსტინქტი გააჩნიათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ანზორ კავაზაშვილი: „2 წამში ყველაფერი დავკარგე“

„ლამის 50 წელიწადი გავიდა და ის სურათი ახლაც თვალწინ მიდგას“

ანზორ კავაზაშვილს ახალი თაობა თითქმის არ იცნობს. ახალი კი არა, მგონი ძველებსაც მიავიწყდათ. ალბათ იმიტომ, რომ დიდი ხანია რუსეთში ცხოვრობს. არადა, იყო დრო, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე გახლდათ.

ბათუმში დაბადებულ-გაზრდილია, მაგრამ კარიერის დიდი ნაწილი რუსეთსა და რუსულ კლუბებში გაატარა. მოსკოვის ტორპედოს მეკარემ 1964 წლის ლეგენდარულ ტაშკენტის „ოქროს მატჩში“ თბილისის დინამოს წინააღმდეგ განგებ არ ითამაშა, ქართველი ვარ და მიკერძოება არ დამწამონო.

კავაზაშვილი ორჯერ მაინც გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ორჯერაც იმ ქვეყნის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. ერთი რეკორდიც ეკუთვნის – 163 „მშრალი“ მატჩი. საბჭოთა ნაკრებში 5 წლის განმავლობაში ირჯებოდა.

კარიერის დასრულების შემდეგ ერთი ხანი ქუთაისის ტორპედოშიც მუშაობდა. მერე განისა და გვინეის ნაკრებებსაც წვრთნიდა. კარგა ხანს რუსეთის საფეხბურთო სტრუქტურებში ტრიალებდა და მისი ხმამაღალი განცხადებებიც არაერთხელ გვახსოვს კორუფციისა და სხვა უმსგავსობების წინააღმდეგ. 6 წლის წინათ ინფარქტი გადაიტანა. ბოლო დროს მახაჭყალის ანჟის სპორტული დირექტორია.

1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, თუმცა, ეს მედალი არ აუღია. პორტუგალიასთან მესამე ადგილისთვის მატჩში არ უთამაშია და ამიტომ...

ანზორ კავაზაშვილი:

– მედლების განაწილების წესი მართლაც აბსურდული გახლდათ. მხოლოდ მათ მისცეს, ვინც პორტუგალიასთან მატჩში ფინალური სასტვენისას მინდორზე იყო. სხვებს, მანამდე ყველა მატჩი რომ ეთამაშათ, არ აძლევდნენ. სად არის სამართლიანობა? ნახევარი საუკუნე გავიდა, ვის აღარ მივმართეთ, ფიფასაც, უეფასაც, მუტკოსაც (რუსეთის საფეხბურთო კავშირის ან უკვე ყოფილი პრეზიდენტი), მაგრამ ამაოდ. ამიტომ არ მაქვს იმ ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

– თითქოს ის მატჩი თქვენ უნდა გეთამაშათ.

– ვიცოდი, რომ უნდა მეთამაშა. თუმცა, ამას გარკვეული წინა ისტორიაც აქვს. მოროზოვმა ჯერ კიდევ 2 დღით ადრე მითხრა, რომ ვითამაშებდი, მაგრამ მატჩის წინ შემადგენლობის გამოცხადება იაშინით დაიწყო. კინაღამ ავფეთქდი მოულოდნელობისგან. შემდეგ გაირკვა, რომ მოროზოვს დაურეკეს მოსკოვიდან, სპორტის სამინისტროდან და უთხრეს, რომ იაშინი ეთამაშებინა. მოროზოვმა უთხრა, რომ კარში კავაზაშვილი ჩადგებოდა. აქ უკვე კედელთან მიაყენეს – შედეგის გარანტიას იძლევით?

არადა, პარტნიორებთანაც ყველაფერი შეთანხმებული მქონდა. როცა მარჯვენა ხელს ავწევდი, ისინი მარჯვნივ გადაიწევდნენ. მარცხენას ავწევდი და ეს ნიშნავდა, მარცხნივ ვიღაც იყო „ასაყვანი“. გადამწყვეტი ტორესის მომენტი გამოდგა. პორტუგალიელთა შემტევი 2 მეტრი სიმაღლის იყო და თამაშამდე მურთაზ ხურცილავამ მითხრა – ასეთ აყლაყუდას როგორ უნდა ვეთამაშოო. მე კი გამოსავალი მოვიფიქრე და მურთაზს ვუთხარი – როცა ჩააწოდებენ, ტორესს არ მიეკარო, კარიდან გამოვალ, ვიეშმაკებ და შევაშინებ-მეთქი.

– რა გქონდათ ჩაფიქრებული?

– მურთაზს ავუხსენი: როცა მომენტი ჩავარდებოდა, ბურთს ხელს ავაცილებდი და ვითომ შემთხვევით, ტორესს მუშტს ვუთავაზებდი სახეში. ერთხელ რომ მწარედ მიიღებდა, მეორედ კართან ახლოს მოსვლას მოერიდებოდა. მაგრამ კარში იაშინი დააყენეს. მასთან კი მოლაპარაკება ვერ მოვასწარით. შედეგად ერთ-ერთი ჩაწოდებისას ხურცილავა ბურთს ვერ მისწვდა და იძულებული იყო, ხელით ეთამაშა. პენალტი ეუსებიომ გაიტანა. მერე იაშინს ბევრს აკრიტიკებდნენ, თუმცა ის არაფერ შუაში იყო.

– ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატამდე საბჭოთა ნაკრებმა მოიგო ოლიმპიადა (1956), ევროპის თასი (1960) და ევროპის ვერცხლის მედლები (1964). როგორ შეაფასებდით ამ გუნდს სხვა ტიტულოვანი ნაკრებების ფონზე?

– ბრაზილიელები ცალკე იდგნენ. საოცარ ფეხბურთის თამაშობდნენ. პელეს თამადობით მათი თამაშის ყურება დიდი სიამოვნება იყო. ასევე გამოირჩეოდნენ გერმანია და ინგლისი. ეს 3 ნაკრები იყო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი. ასევე ჩვენც, რადგან ფეხბურთელთა დიდი არჩევანი გვქონდა. მწვრთნელს შეეძლო თითო პოზიციაზე 5 თანაბარი ფეხბურთელიდან გაეკეთებინა არჩევანი.

– საბჭოთა ჰოკეისტებს ამერიკაში ხშირად აძლევდნენ ცარიელ ფურცელს, სადაც მხოლოდ ხელფასის რაოდენობა უნდა ჩაეწერათ. ფეხბურთელებთან როგორ იყო?

– ასევე... ყველგან და ყოველთვის. სადაც არ უნდა წავსულიყავით, მოვიდოდნენ ადამიანები, რომელიც ჩვენს ფეხბურთელებს კარგად იცნობდნენ და მიდიოდა საუბრები იტალიურ, ინგლისურ, ესპანურ კლუბებზე. ცხადია, მაღალი ხელფასების გარდა, კიდევ იყო სხვა შეთავაზებებიც. ინგლისში ჩასვლისთანავე გაჩნდა სტატიები, თუ რა მოგებას ნახავს ფეხბურთი, როდესაც საბჭოთა ფეხბურთელები ევროპულ კლუბებში გადავლენ სათამაშოდ. თუმცა, ვერც კი წარმოგვედგინა, რომ უცხოური კლუბის გამო მშობლიურ ქვეყანას დავტოვებდით.

– ინგლისში საჩუქრებიც გადმოგცეს, როგორ ვიცით.

– პირველი მატჩი კორეას მოვუგეთ, მეორე – იტალიას და შემდეგი ჩილესთან გვქონდა. ამ დროს მეუბნებიან, რომ ჩვენთან მოვა ჩრდილოეთ კორეის ნაკრების დელეგაცია, ამიტომ ძილი დროებით უნდა გადაგვედო. შეხვედრაზე წავედით მე, როგორც კომკავშირის ხელმძღვანელი, შესტერნიოვი, იაშინი და მოროზოვი. შევედით ცალკე ოთახში, სადაც ჩრდილოეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის შეფობა იჯდა, ვიღაც მთავრობიდან და გვეუბნებიან – უფროს ძმებ-კომუნისტებთან ჩვენი თხოვნაა, რომ აუცილებლად მოუგოთ ჩილეს, რათა ჯგუფიდან 2 კომუნისტური ნაკრები გავიდეს და მაგიდაზე რამდენიმე ბოთლი დადეს.

– რისი ბოთლები?

– ჟენშენის... კორეელები იღიმოდნენ – არ იფიქროთ, რომ ქრთამს გთავაზობთ. უბრალოდ, თუ 30 გრამ ჟენშენს მატჩის წინ მიიღებთ, ძალები მოგემატებათ, იმდენს ირბენთ, რამდენიც გინდათ. ბოთლი სახლში წამოვიღე და მგონი 10 წლის შემდეგ გავხსენი, ჩილეს ნაკრები კი ისედაც დავამარცხეთ.

– ნახევარფინალში გერმანიის ნაკრების დამარცხება შეგეძლოთ?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვიცოდით, რომ ერთ-ერთი ძლიერი ნაკრები გვყავდა მსოფლიოში – გერმანელებზე არაფრით ნაკლები. მატჩი აბსოლუტურად თანაბარი გამოდგა. პირველი ტაიმი 0:1 წავაგეთ, გადამწყვეტი გამოდგა ბეკენბაუერის გოლი მეორე ტაიმის შუაში. ბოლოს პარკუიანმა ერთი გაქვითა და გატანა შემდეგაც შეგვეძლო, მაგრამ დავმარცხდით.

– მართალია, რომ ინგლისში ჩაკეტილები იყავით?

– ქალაქგარეთ ვცხოვრობდით სასტუმროში. იქ ვისვენებდით და გავდიოდით აღდგენას, მატჩებისთვის ვემზადებოდით. ყველა უცხოსთვის დახურული იყო კარი. გამონაკლისი მხოლოდ ადიდასისა და პუმას წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც თავიანთი პროდუქციის რეკლამირებისთვის მოდიოდნენ. 4 წლის შემდეგ მექსიკაში კიდევ უფრო მკაცრად იყო ყველაფერი. ასევე ქალაქგარეთ ვიყავით და სასტუმროში შემოსვლის უფლება მხოლოდ ჩვენი ავტობუსის გამცილებელი მოტოციკლისტების დაცვის უფროსს ჰქონდა.

– 4 წლის შემდეგ მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ურუგვაისთან დასანანად დამარცხდით.

– მართლაც. შუადღისას მოგვიწია თამაში. სიმართლე უნდა ითქვას, პირველ ტაიმში ურუგვაელები უკეთ გამოიყურებოდნენ. ბევრი ენერგია დავხარჯეთ. მერე თამაში გათანაბრდა, დამატებითი დრო და ის საბედისწერო მომენტი...

– ხშირად იხსენებთ ხოლმე იმ მომენტს?

– დღემდე მიტრიალებს თავში. ლამის 50 წელიწადი გავიდა და ის სურათი ახლაც თვალწინ მიდგას: 118-ე წუთია – აფონინი ურუგვაელს მეურვეობს, რომელსაც 2 მეტრზე მეტით უვარდება ბურთი ხაზს იქით. ჩვენები ხელებს მაღლა სწევენ – გადასულიაო, მე ძელიდან 2 ნაბიჯს ვდგამ, რათა ბურთი თამაშში სწრაფად შევიყვანო, მაგრამ ესპარაგომ... ვითომც აქ არაფერიო, ბურთი ისევ უკან გამოაგორა და ჩვენს საჯარიმოში ჩაჰკიდა. მსაჯს შევხედე, ის გვანიშნებს, ითამაშეთო. ისევ კარისკენ მივრბივარ, მაგრამ ვეღარ ვასწრებ. ეს 2 წამი საბედისწერო გამოდგა. კუბილამ ცარიელ კარში თავით გაიტანა. ცხოვრებაში ორჯერ ვიტირე. პირველად 1963 წელს, როცა მამა როსტოვში ჩამოვიდა ჩემი თამაშის საყურებლად და 3 გოლი გავუშვი. მეორედ ურუგვაისთან მატჩის შემდეგ. არა, კი არ ვტიროდი, მოვთქვამდი. იმიტომ, რომ იმ მომენტში ყველაფერი დავკარგე.

– ყველაფერი?

– დიახ. დარწმუნებული ვარ, მაშინ ფინალში გასვლა და ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგვეძლო. მე კი ტურნირის საუკეთესო მეკარის პრიზი უნდა მიმეღო. ურუგვაისთან თამაშამდე „ფრანს პრესის“ ჟურნალისტი მეწვია და მითხრა, გამოკითხვაში ლიდერობო. წინასწარ სურათიც გადამიღეს, როგორც მომავალ ლაურეატს.

– გასახდელში რაზე ლაპარაკობდით?

– არაფერზე. იაშინი გადამეხვია და მითხრა: ანზორ, ღვთის გულისთვის, ძალიან გთხოვ, ნუ ნერვიულობო. მერე ჩუმად ვისხედით და იატაკს მივჩერებოდით.

– ხელმძღვანელობას როგორი რეაქცია ჰქონდა?

– დამცინავი. დაგვსაჯეს და მეხიკოდან ნიუ იორკში გადაგვაფრინეს, რათა იქ „აეროფლოტის“ თვითმფრინავს დავლოდებოდით. აღარ დაგვაცალეს საფეხბურთო სამყაროში დარჩენა და სხვა მატჩების ცქერა. როცა უკან მოვფრინავდით, ნიკიტა სიმონიანი ტიროდა და ამბობდა, როგორ შეიძლება ადამიანების ასე აბუჩად აგდებაო. თუმცა შემდეგ მექსიკელებისგან მორალური კომპენსაცია მაინც მივიღე.

– როგორ?

– ტურნირზე კარგი თამაშისთვის სიგელი გამომიგზავნეს. თან დაყოლეს, „აცტეკას“ სტადიონზე ბიუსტს დაგიდგამთო. მაშინ შეჯიბრში 16 გუნდი მონაწილეობდა და თითო ნაკრებიდან თითო საუკეთესო მოთამაშის ბიუსტი უნდა დაედგათ. და კიდევ, მექსიკაში დამპატიჟეს მსოფლიო ნაკრებში სათამაშოდ.

– მერე?

– იმათ კი დამპატიჟეს, მაგრამ ჩვენმა უფროსობამ 2 თვის შემდეგ გადმომცა ოფიციალური მიწვევა, როცა მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილება იყო. საბჭოელთაგან მე და მიშა მესხს უნდა გვეთამაშა. მწვრთნელი კი მგონი ბესკოვი უნდა ყოფილიყო. ზუსტად აღარ მახსოვს, საბუთები ჩემს აგარაკზე დამეწვა ხანძრის დროს.

– რატომ მოხდა ასე?

– როგორც შემდეგ ამიხსნეს, უფროსობამ ჩვენ მაგიერ მექსიკაში საბჭოთა კავშირის მაშინდელი ჩემპიონი, ვოროშილოვგრადის (ახლა ლუგანსკის) ზარია გააგზავნა. აი, დანაპირები, ბიუსტის შესახებ კი დღემდე არაფერი ვიცი.

ბათუმმა მესამე ადგილზე აინაცვლა

ბათუმი-მარნეული 75:60

(24:11, 22:13, 18:18, 11:18)

ბათუმმა მარნეულის დელტას უმასპინძლა და საკმაოდ იოლად – 75:60 დაამარცხა. ორივე გუნდისთვის მატჩის შედეგს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. მასპინძლებს მოგება ლიდერებთან მისაახლოვებლად უნდოდათ, ხოლო მარნეულელები გამარჯვების შემთხვევაში ბოლოადგილოსან სოხუმთან სხვაობას 3 ქულამდე გაზრდიდნენ.

ბათუმელებმა თავიდანვე დაანახეს სტუმრებს, რომ წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდათ. სერბი სპეციალისტის, ვლადიმერ ბოსნიაკის გაწვრთნილმა აჭარლებმა პირველი პერიოდი 24:11 მოუგეს ქვემოქართლელებს, თუმცა არც შემდეგ შეჩერდნენ და დიდ შესვენებამდე უპირატესობა 22 ქულამდე გაზარდეს – 46:24.

თუკი სტუმრებს ამ თამაშის მოგების მცირედი ამბიცია ჰქონდათ, მესამე პერიოდში უნდა შეეცვალათ რამე, თუმცა აღნიშნული ათწუთეული ფრედ – 18:18 დასრულდა და ბათუმელთა გამარჯვების ამბავიც ფაქტობრივად აქ გაცხადდა. დასკვნით მეოთხედში მასპინძლებმა ყურადღება მოადუნეს, რაც 22-ქულიანი ლიდერობის 15-ამდე შემცირებად „დაუჯდათ“.

ბათუმმა მე-8 გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. აღსანიშნავია, რომ ქულით უკან მყოფ რუსთავსა და ოლიმპს ზღვისპირელებზე ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ბათუმელებს ულიდერა უკრაინელმა ლეონიდ სტეპანიშინმა, რომელმა 27 ქულა და 13 მოხსნა დააგროვა. ივანე მაისურაძემ და ვახტანგ ქადარიამ 10-10 ქულა დააგროვეს. მარნეულელთაგან 16 ქულით ნიკ ნილი გამოირჩა.

სატურნირო ცხრილი:

1.ქუთაისი	13	10	3	1113:1002	23
2.დინამო	12	10	2	1013:862	22
3.ბათუმი	14	8	6	1070:978	22
4.კაკტუსი	14	7	7	1082:1130	21
5.რუსთავი	13	8	5	1041:981	21
6.ოლიმპი	13	8	5	1033:955	21
7.მგზავრები	13	5	8	984:1077	18
8.დელტა	14	3	11	1057:1197	17
9.სოხუმი	14	1	13	1029:1240	15

ხელბურთელთა ნაკრები ლატვიაში გაემგზავრა

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ხმაურიანი მიზნები აქვს. პირველ ასეთ მიზნად დასახულია ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. საკვალიფიკაციო ტურნირი უკვე 2018 წელს იწყება. შემდგომ, საქართველოს მამაკაცთა ეროვნული ნაკრები დაიწყებს ბრძოლას 2024 წლის ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მეტად რთული ამოცანაა და ოლიმპიადაზე მაქსიმუმ 9 ევროპულ ნაკრებს შეუძლია მოხვედრა.

ჩვენი ნაკრები უახლოეს მატჩებს კი მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაატარებს. კლაიპედაში საქართველოს ნაკრები მასპინძელ ლიტვასთან, ლატვიასა და ისრაელთან გამოვა. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი მეორე ეტაპზე გადავა, სადაც პლეი ოფის (შინ და გარეთ) სისტემით მუნდიალზე მოსახვედრად იბრძოლებს.

ხელბურთის ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოს მამაკაცთა და ქალთა, ასევე ასაკობრივი ნაკრებები წარადგინა. მამაკაცთა ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს 43 წლის მაკედონიელი სპეციალისტის ანდონე ბოშკოვსკის სახით. ბალკანელს ასისტენტობას ტიტე კალანდაძე და ამირან კომახიძე გაუწევენ.

ლატვიაში ჩვენი ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: ალექსანდე ხანდოლიშვილი (ქარიშხალა), შოთა თევზაძე (ფოჩანი, რუმინეთი);

მოედნის მოთამაშეები: ხაზეინ რუსტამოვი, შოთა გრიშიკაშვილი (ორივე ქუთაისი), ზურაბ აბრამიშვილი, შალვა სტურუა (ორივე ბათუმი), თეიმურაზ ორჯონიკიძე, რევაზ ჭანტურია (ორივე პელისტერი, მაკედონია), ლექსო წითელიშვილი (ჰანდბოლ, თურქეთი), სერგო დათუკაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი (ორივე კელერაში, რუმინეთი), (ბათუმი), გიორგი ცხოვრებაძე (მონპელიე, საფრანგეთი), რატი მსხვილიძე (რაბოტნიკი, მაკედონია), (პელისტერი, მაკედონია), გიორგი დიხამინჯია, გიორგი ლაპიაშვილი (ორივე პეგასი);

12 იანვარს საქართველოს ნაკრები ლატვიას გაეჯიბრება, 13-ში – ლიტვას, 14-ში – ისრაელს.

შედეგები

9 იანვარი

ფეხბურთი

ესპანეთი. სამეფო თასი

ატლეტიკო-ლეიდა 3:0

ვალენსია-ლას პალმასი 4:0

სუფრანგეთი. თასი

ნიცა-მონაკო 1:2

ჰოლანდია. ჰიმეიჩა ლიგა

ტონდელა-სეტუბალი 1:1

ბელენენსეში-ბოავიშტა 1:1

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეა შეთანხმდნენ

კორეის ნახევარკუნძულზე რამდენიმეთვიანი დაძაბულობის შემდეგ, მოვლენები მოულოდნელი სცენარით განვითარდა. ბოლო 2 წლის განმავლობაში პირველად, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის წარმომადგენელთა უმაღლესი დონის შეხვედრა შედგა. აქ გადაწყდა, რომ ჩრდილოეთ კორეა პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტსმენთა, მაღალჩინოსანთა, კულტურის მოღვაწეთა, მხარდამჭერთა და ჟურნალისტთა დიდ დელეგაციას მიავლენს.

გარდა ამისა, სამხრეთ კორეის ხელმძღვანელობამ ჩრდილოელებს პიონჩანის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიალებზე გაერთიანებული გუნდით გამოსვლის წინადადებითაც მიმართა. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, სეულის ამ წინადადებას დათანხმდება თუ არა ოფიციალური ფხენიანი.

ბოლოს, ორივე ქვეყნის სპორტსმენები კორეის ნახევარკუნძულის დროშით 2006 წლის ტურინის ზამთრის ოლიმპიადაზე გამოვიდნენ.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კორეამ, შესაძლოა, ჩრდილოელი მეზობლებისთვის დაწესებული რიგი სანქციებიც შეაჩეროს. სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიცი-

ალური წარმომადგენლის ნო გიუ დოკის განცხადებით, საუბარია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით რამდენიმე ოფიციალური პირისთვის ქვეყანაში შესვლის აკრძალვის დროებით გაუქმებაზე.

უფრო ადრე პიონჩანი-2018-ის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა ლი ჰი-ბომმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთკორეელ სპორტსმენებს ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის დემილიტარიზებული ზონის გადაკვეთის უფლება მიეცემოდათ. თავის მხრივ, საახალწლო მიმართვისას ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელმა კიმ ჩენ ინმა პირველად განაცხადა, რომ პიონჩანში გუნდის გაგზავნას გეგმავდა.

მოგვიანებით, ოფიციალური სეული პიონჩანის თამაშებზე მონაწილეობასთან დაკავშირებით უმაღლეს დონეზე მოლაპარაკებების გამართვის წინადადებით გამოვიდა. სამხრეთელთა წინადადებას ფხენიანი მას შემდეგ დათანხმდა, რაც აშშ და სამხრეთ კორეა ოლიმპიადის პერიოდში ერთობლივი სამხედრო წვრთნების გადადებაზე შეთანხმდნენ.

ამასობაში, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ოლიმპიადაზე მონაწილეობისთვის ჩრდილოეთკორეელ სპორტსმენებს რეგისტრაციის ვადები გაუხანგრძლივა.

– სოკი ორივე მხარესთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივებით, კარს ღიას ვტოვებთ და დახმარების ხელს ვუწვდით სპორტსმენებს, რომლებმაც საოლიმპიადო შერჩევა გაიარეს, – ნათქვამია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

მოამზადა მანეულ ჟორჟოლიანმა

ბრიტანელი გოგონა ქათმის ბურგერმა იმსხვერპლა

ბრიტანეთის ქალაქ მანჩესტერის სასამართლო 18 წლის გოგონას საქმეს განიხილავს, რომელიც ალერგიული შოკის შედეგად გარდაიცვალა მას შემდეგ, როდესაც ქათმის ხორცის ბურგერი გასინჯა.

გავრცელებული ინფორმაციით, შახიდა შადიდმა ქათმის ბურგერის ჭამიდან ერთი საათის შემდეგ გონება დაკარგა. მან კერძი მანჩესტერის ერთ-ერთ რესტორანში 2015 წლის 12 იანვარს შეჭამა. სამი დღის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

საქმის წინასწარი მოსმენის დროს გაირკვა, რომ რესტორნის პერსონალმა შადიდის ამ კერძის დაგემოვნება ურჩია, მიუხედავად იმისა, რომ გოგონამ უთხრათ, რომ ალერგიული იყო. კერძი შეიცავდა რძის პროდუქტებს, რომელზეც გოგონას ალერგია ჰქონდა. ასევე ის ალერგიული იყო კვერცხზე, თევზსა და ნიგოზზე.

გასული წლის იანვარში საქმის ოფიციალური მოსმენა დაიწყო. შადიდის ნათესავებმა განაცხადეს, რომ ის რესტორანში ოთხ მეგობართან ერთად წავიდა, რათა მათთან ერთად ეზეიმა უნივერსიტეტში პირველი სემესტრის დასრულება. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გოგონა ხშირად სადილობდა რესტორნებში და ოფიციანტებს დაწვრილებით ეკითხებოდა შესაკვეთი კერძის შემადგენლობას. საქმის განხილვა გრძელდება. ჯერჯერობით რესტორნის წარმომადგენლები ამ საქმეზე კომენტარს არ აკეთებენ.

კიბოთი დაავადებულებისთვის თმების მიმცემი მოსწავლე დასაჯეს

ბრიტანელი მოსწავლე სწავლას დროებით მას შემდეგ ჩამოაცილეს, როდესაც თმები გადაიპარსა და კიბოთი დაავადებულებს შესწირა.

ნიამ ბოლდვინმა თავისი თმები ფონდ „პატარა პრინცესას“ გადასცა, რომელიც პარიკებს უმზადებს იმ ბავშვებს, რომლებმაც თმები კიბოს დაავადებასთან ბრძოლაში დაკარგეს. გოგონა სკოლის წესდების დარღვევაში დადანაშაულეს და გაკვეთილებზე დასწრება და სკოლის ეზოში კლასელებთან ურთიერთობა აუკრძალეს. მას თავსაფრის ტარება დააკისრეს, სანამ თმები ერთი სანტიმეტრით მაინც არ წამოეზრდება.

ბავშვის დედა ასეთ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება.

– მიმაჩნია, რომ ეს ჩემი შვილის მხრიდან თამამი და შთამბეჭდავი საქციელია. მე ვამაყობ ჩემი ქალიშვილით და ძალიან უკმაყოფილო ვარ სკოლის ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, რომელთაც ასე შეუზღუდეს უფლებები ჩემ გოგონას, – დაწერა სოციალურ ქსელში ბავშვის დედამ. მისი თქმით, გოგონა კარგად სწავლობს და მას აქამდე სკოლაში პრობლემები არ ჰქონია.

ამავე დროს ფონდ „პატარა პრინცესას“ წარმომადგენლებმა ნიამს მადლობა გადაუხადეს მისი საქციელისთვის, აღნიშნეს, რომ მათ შექმნილმა სიტუაციამ გული დასწყვიტათ, თუმცა სკოლის პოზიციასაც გაგებით ეკიდებიან.

ციხის პათოლოგოანატომებს ცოცხალი ადამიანის გაჭრა სურდათ

ესპანეთის ციხის პატიმარი გონსალო მონტოია ხიმენესი ექიმებმა გარდაცვლილად აღიარეს, მაგრამ გაკვეთის წინ მან მოულოდნელად თვალი გაახილა. ამ ინფორმაციას ბი-ბი-სი ავრცელებს.

მამაკაცი სასჯელს ქურდობისთვის იხდის. ერთხელაც ის დილის შემოწმებაზე არ გამოცხადდა. ციხის თანამშრომლებმა ის სკამზე გაუნძრევლად მჯდომი აღმოაჩინეს. ადგილზე მისულმა ექიმებმა მისთვის პულსის გასინჯვა ვერ შეძლეს და პატიმრის გარდაცვალება დაადგინეს. ამის თაობაზე მსჯავრდებულის ახლობლებს აცნობეს.

ცხედარი სასამართლო სამედიცინო ინსტიტუტში გასაკვეთად გადაიტანეს. ამ დროს ტომრიდან, რომელშიც მამაკაცი იყო მოთავსებული, ხმები გაისმა. მამაკაცი ცოცხალი აღმოჩნდა.

ხიმენესის ნათესავების თქმით, მას ეპილეფსია აქვს და სუნთქვის უჩვეულოდ შეჩერებას წამლის მიღების რეჟიმის დარღვევით ხსნიან.

ამასთან პატიმრის ნათესავები ფიქრობენ, რომ მისი გარდაცვალების დაფიქსირებისას დაირღვა სამედიცინო პროტოკოლი: ცხედარი გასინჯა ერთმა ექიმმა, ხოლო დანარჩენმა ორმა უბრალოდ დასკვნაზე ხელი მოაწერეს ისე, რომ მათ მამაკაცი არ გაუსინჯავთ. ნათესავების აზრით, სამივე ექიმი ვერ შეცდებოდა. ამიტომ ისინი ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელს ამზადებენ.

მძარცველმა ქალმა ტაქსის მძღოლი შიშველი მკერდით შეაშინა

ამერიკის ლუიზიანას შტატში დააკავეს მძარცველები, რომლებმაც ტაქსის მძღოლს ყურადღება შიშველი მკერდით გაუფანტეს და მისთვის ფულის წართმევას შეეცადნენ.

დაზარალებულმა პოლიციას განუცხადა, რომ 22 წლის რაინა ფილოსი ადგილზე მიიყვანა და მას თავისი ტელეფონის ნომერი დაუტოვა. შაბათს გოგონამ მას დაურეკა და მისვლა სთხოვა. როდესაც მან კარზე დააკაკუნა, ქალმა კარი გააღო და მის წინ მკერდმოშიშვლებული გამოჩნდა. მძღოლმა გადაწყვიტა, რომ მას მასხრად იგდებდნენ და წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ ფილოსმა მას ხელი სტაცა, მკერდზე მიიკრა, აკოცა და ენაზე უკბინა.

სანამ გოგონა დაზარალებულს თავბრუს ახვევდა, მისმა თანამზრახველმა, 24 წლის ენტონი კენედიმ მოირბინა, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. მან მძღოლს დანა მიადო და ფული მოსთხოვა. პასუხად უარი მიიღო, რის შემდეგაც კენედიმ მძღოლს სახეში მუშტი დაარტყა და კბილი ჩაუმტვრია. ამის შემდეგ ის თავის სახლში დაბრუნდა, ხოლო ფილოსმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ამ საქმესთან არანაირი შეხება არ ჰქონია და მძღოლთან დარჩა.

პოლიციელები მაძებარი ძაღლის დახმარებით დაადგნენ კენედის კვალს და დააკავეს. მას შეიარაღებული ძარცვის მცდელობისა და მეორე ხარისხის სხეულის დაზიანების მიყენების ბრალდება წაუყენეს. ასევე დააკავეს ფილოსიც. მას ბრალად ედება შეიარაღებულ ძარცვაში და მეორე ხარისხის სხეულის დაზიანების მიყენებაში თანამონაწილეობა.

უცნაური ცხოველი ბეწვგაცვენილი დათვის ბელი აღმოჩნდა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ჰოუმვუდში უდედოდ დარჩენილი ბეწვგაცვენილი დათვის ბელი გადაარჩინეს.

ადგილობრივებმა დეკემბრის ბოლოს უცნაური ცხოველი შენიშნეს, რომელიც ნაგვის კონტეინერში იქექებოდა. მასში დათვის ბელი შეიცნეს. ის დაიჭირეს და გადასცეს ორგანიზაციას, რომელიც დათვების დაცვითაა დაკავებული.

სპეციალისტებმა გაარკვიეს, რომ მათ წინაშე კალიფორნიული შავი დათვის ერთწლამდე ასაკის ნაშიერი იდგა, რომელსაც ქეცის გამო ბეწვი გასცვივდა.

– ჩვენ მსგავსი შემთხვევები ადრეც გვქონია, – ნათქვამია ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებაში, – ეს, სავარაუდოდ, იმის შედეგია, რომ ბელის დედა სეზონის დასაწყისში მოკლეს. ის ყოველნაირად ცდილობს თავის გადარჩენას, თუმცა უმეტესად შიმშილთან უწევს გამკლავება. ეს ყოველივე კი მის იმუნურ სისტემას აყენებს დარტყმას.

დათვების დაცვის ორგანიზაციაში ბელს ერთი კვირის განმავლობაში უვლიდნენ, შემდეგ კი ის ველური ბუნების ფონდს გადასცეს. ახლა ცხოველი ნელ-ნელა წონაში იმატებს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც უკეთესდება. თუ დათვის ბელი ბოლომდე გამოჯანმრთელდება და ბეწვიც ამოუვა, მას ბუნებაში გაუშვებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 იანვარი

ვერძი – წინდაუხედაობა საკმაოდ დაგაზარალებთ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, მოსალოდნელ შედეგებზე იფიქრეთ. **კურო** – თავს ნუ გადაიღლით. ერიდეთ მძიმე სამუშაოს. დღის რეჟიმი დაიცავით. კარგი იქნება, თუ სათანადოდ გამოიძინებთ. **ტყუპები** – მძიმე დღეა. შექმნილი რთული ვითარება თქვენს ჯანმრთელობაზეც აისახება. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **კირჩხიბი** – სტაბილური, მშვიდი პერიოდია. გარშემმყოფებთან ურთიერთობა ჰარმონიულია. **ლომი** – დღის პირველ ნახევარში საქმიანი შეხვედრები პოზიტიური იქნება. საღამოს შესაძლოა მცირე პრობლემა წარმოიშვას, რომელსაც თქვენი ქედმაღლობა გამოიწვევს. **ქალწული** – ინტრიგები, შურიანობა და მოულოდნელი დაბრკოლებები გეგმებს შეგიცვლით. დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ. **სასწორი** – ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. სხვისი საქმეების მოგვარებას გიჯობთ, საკუთარ პრობლემებზე იფიქროთ. **ღრიანკალი** – ეცადეთ, ილუზიებისგან სასწრაფოდ გათავისუფლდეთ და მოვლენები ადეკვატურად შეაფასოთ. სიმშვიდე და ზომიერება დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – ენერგეტიკული პოტენციალი დაბალია. ეცადეთ, ინიციატივა მინიმუმამდე დაიყვანოთ. **თხის რქა** – ნებისმიერი მოვალეობა პატიოსნად შეასრულეთ. შესაძლოა შემოსავლის ახალი წყაროს მოძებნა მოგიხდეთ. **მერწყული** – ნუ გადაიღლებით. ნერვებს გაუფრთხილდით. პირად ცხოვრებაში კონფლიქტია მოსალოდნელი. **თევზები** – იფრთხილეთ, ერიდეთ ხალხმრავლობას. თუ აუცილებელი არ არის, სახლიდან დღეს ნუ გახვალთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე, წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 2. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 3. უბანი თბილისში; 4. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. თამბაქოს წარმოების ცენტრი თურქეთში; 8. კოსმოსში გაგზავნილი ქართული სიმღერა; 9. ფრინველის საჭერი მახე; 12. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 13. ხელით სასროლი ფეთქებადი ჭურვი; 16. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 17. მეწარმე სოფლად; 19. ავსტრიისა ფეხბურთელთა გუნდი; 20 ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი.

თარაზულად: 6. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ამა თუ იმ ადგილის ჰავა, ამინდის რეჟიმი; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. კარაქის შესადღვები ძველებური ხის ჭურჭელი; 11. მარცვლეულის შესანახი ძველებური ხის ნაგებობა; 14. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური წარმოდგენა; 15. მსხვილი საკარმიდამო მამული ლათინურ ამერიკაში; 18. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 21. მაღალფეხიანი ელექტროსანათი მოწყობილობა; 22. უზენაესი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 23. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 24. შვეიცარული ფარმაცევტული ფირმა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პენსნე; 2. სლაიდი; 3. „ხანჯლური“; 4. რინერი; 6. ეჩხაბერი; 8. „ტოფანი“; 11. სოლიტერი; 12. ფოლორცი; 16. „ქართუ“; 17. კონტე; 18. თერგი.

თარაზულად: 1. პუნსონი; 5. პირეი; 7. სანაცია; 9. „სევილია“; 10. მეტრიკა; 13. ნეკრესი; 14. ჯოკერი; 15. შოვი; 19. კობზარი; 20. დომკრატი; 21. გუტიერესი; 22. ქილიკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნიორაძე; 2. კიშლაკი; 3. პიკლინგი; 4. ჟუდეცი; 5. ზუგდიდი; 8. მინკუსი; 9. პარალიზი; 12. ნოკდაუნი; 13. კრამიტი; 16. ჟოეკვარა; 17. კანკანი; 19. იკორთა; 20. ბაწარა.

თარაზულად: 6. ჰინდუკუში; 7. სულგუნი; 8. მულინე; 10. პარხალი; 11. მიზა; 14. „გორდონსი“; 15. ოკულისტი; 18. „სოკარი“; 21. კატრანი; 22. რაგბი; 23. ალპები; 24. ზამინდარი.

სალომე გოგიაშვილმა დიზაინერობა დაიწყო

ტელეწამყვანმა სალომე გოგიაშვილმა დიზაინერობა დაიწყო და უახლოეს მეგობართან მანო გაბურთან ერთად ფეხსაცმლის პირველი კოლექცია გამოუშვა.

„სალმანი“ – ასე ჰქვია ბრენდს, რომელიც მისი ავტორების სალომესა და მანოს პირველი მარცვლების ერთობლიობაა.

სალომე გოგიაშვილი:

– დიდი შრომის შემდეგ მე და მანო გაბურმა საბოლოოდ მივაღწიეთ მიზანს და გაჩნდა ბრენდი „სალმანი“. ვულოცავ ყველას, ვინც გვგულშემატკივრობდა. პირველი პროდუქციაა მზადაა და უკვე გაყიდვაშია.

ფოთში საახალწლო ინტერიერი დააზიანეს

ფოთში საახალწლო ინტერიერი დააზიანეს. ვანდალური ფაქტი ფოტოზე მსახიობმა ჯანო იზორიამ აღბეჭდა და სოციალურ ქსელში გაავრცელა:

– ეს არის ქალაქის სიყვარული? ეს არის ზღვიდან შემოსული ცივილიზაცია? შედედა მ.... ვინც ეს გააკეთე, ვინც დაგინახა და არ გითხრა, არ გირჩია იმისიც დედა მ....

ჯულიანა ბარ-გნარი და ოთო ფოლადაშვილი საუკეთესო ხუთეულში მოხვდნენ

სპორტული ცეკვების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წყვილი ჯულიანა ბარ-გნარისა და ოთო ფოლადაშვილისთვის 2018 წლის პირველი საერთაშორისო შეჯიბრი წარმატებული აღმოჩნდა.

იტალიის ქალაქ ვერონაში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრში, სადაც 18 ქვეყნიდან 74 წყვილი მონაწილეობდა, ქართველი მოცეკვავეები ფინალში მოხვდნენ და მე-5 ადგილი დაიკავეს.

შეჯიბრზე მსაჯად საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ვანო კანდელაკი იყო მიწვეული.

თამარ მეფე ვიდეოთამაშის პერსონაჟი გახდა

ცნობილ ვიდეოთამაშს „ცივილიზაცია“ თამარ მეფის პერსონაჟი დაემატა, რაც იმას ნიშნავს, რომ თამაშს საქართველო ცივილიზაციად ემატება. მისი უნიკალური დამახასიათებელი საქართველოს დღევანდელ გერბზე დატანილი „ძალა ერთობაშია“ იქნება.

თამაშის მეექვსე ნაწილში ცხრა ახალი ლიდერიდან ერთ-ერთი სწორედ ქართველი მეფე იქნება. მოთამაშეს მისი როლის მორგება და თამარ მეფის ეპოქის საქართველოს მართვა შეეძლება. თამაშში ჩანს ხევსურეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი ნაწილი, ასევე ციხის კედლები, თამარ მეფე კი ქართულად საუბრობს. თამაშში გამოყენებულია ქართული ხალხური მუსიკა.

სტრატეგიული თამაში „ცივილიზაცია“ 1991 წელს შეიქმნა. მოთამაშე ქმნის იმპერიას, რომელიც დროს უძლებს. თამაშის საწყისი პერიოდი ძველი წელთაღრიცხვით 4000 წელია.

ცივილიზაციის მეექვსე ნაწილის დამატებითი პაკეტი 2018 წლის 8 თებერვლიდან გაიყიდება.

პოეტებს რუსუდან კაიშაურს და ბათუ დანელიას ინტერვიუების გამო სოციალური დახმარების პენსია მოუხსნეს

მწერალი მარიამ წიკლაური ავრცელებს ინფორმაციას, რომ პოეტებს რუსუდან კაიშაურს და ბათუ დანელიას ინტერვიუების გამო სოციალური დახმარების პენსია მოუხსნეს.

მარიამ წიკლაური, მწერალი:

– ყურადღება! სოს! ისეთი უცნაური ამბავი გავიგე, რომ სახელს ვერ ვუძებნი ამას. რომც გამოასწოროს სოციალური მომსახურების სააგენტომ ეს სიბრიყვე, მაინც მინდა ამაზე ხმა ამოვიღოთ და გავაპროტესტოთ! „საზოგადოებრივმა ტელევიზიამ“ ერთი საგადაცემო ციკლის ფარგლებში აჩვენა ინტერვიუები პოეტებთან. მათგან რამდენიმე იღებდა სოციალური დახმარების პენსიას. გადაცემის მეორე დღესვე დაურეკეს სოცუზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა ამ ავტორებს და აუწყეს შემდეგი: თქვენ თურმე გიმუშავიათ ამ ტელევიზიაში, ჩვენ გვატყუებდით და დღეიდან მოგეხსნათ პენსიებიო. ეს პოეტები არიან: რუსუდან კაიშაური, ბათუ დანელია!

ამ ხალხს ამ ტელევიზიაში და არც სხვა ტელევიზიებში არ უმუშავიათ და არც ახლა მუშაობენ. ახლა მე მაინტერესებს: ეს ყველაფერი რამდენად ადეკვატური საქციელია სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან? ექვემდებარება თუ არა ეს განხილვას? ნიშნავს თუ არა სახელმწიფოში ამ ბოლო დროს მწერლებისადმი გამოვლენილ საზოგადო აგრესიის გამოძახილს? პოეტებმა უნდა წარადგინონ ცნობა, რა დროიდან არ მუშაობენ ამ ტელევიზიაში, ანუ მაინც თავისას აწვება სააგენტო. მაინც ვერ გაიგეს ვითომ, რომ ინტერვიუზე ტელევიზიაში მიწვეული იყო მწერალი.

ძალიან მინდა, რომ არ გავგიჟდე ამ ყველაფრის მოსმენის მერე. ან გამეცით პასუხი ვინმემ, რაა ეს? რა ხდება ასეთი ამ ქვეყანაში, რა ღილაკზე დააჭირეთ თითი, რა დაიწყეთ? და რომც ეს კონკრეტული საკითხი მოაგვაროთ და აღადგინოთ ეს პენსიები თავად საზოგადოებრივი ტელევიზიის მესვეურთა ძალისხმევით და პასუხისმგებლობით, პენსიები, რომლის შეწყვეტის არანაირი უფლება არ გქონდათ, მაინც არ უნდა გავჩუმდეთ ამ ფაქტზე, რადგან თავისთავად ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ვიღაცამ ძაან გააფრინა ამ ქვეყანაში!

რუსუდან კაიშაურს 9 აპრილს მოეწამლა მეუღლე და მალე-ვე გარდაეცვალა, მარტომ გაზარდა 5 შვილი და საუკეთესო მოქალაქეებად გაზარდა თანაც, აქვს ჯანმრთელობის პრობლემები და შესანიშნავი შემოქმედია, ან ბათუ დანელია ვინაა და რით ცხოვრობს, მე აგიხსნათ?

ვინ მოგნიშნოთ ამ სტატუსზე? საქართველოს ხელისუფლებავ, ასეთი რა კადრი მუშაობს ზემოხსენებულ უწყებაში? თუ დავალებას ასრულებენ და მომენტს არ უშვებენ ხელიდან, პრობლემებით გაგვაწამონ? და თუ ასე არაა, მაშინ კეთილი ინებოს პარლამენტმა და კანონმდებლობის დონეზე შეცვალოს ეს განსაზღვრება, რომ გარდა პედაგოგიური შრომისა, შეიძლება ასევე ადამიანი ინტელექტუალურ-შემოქმედებით შრომას ეწეოდეს და ეს არ უშლიდეს ხელს სოციალური პენსიის მიღებას!

ანუკი არეშიძე: „ყოველ კვირას ქუჩის მარკეტებში დავდივარ და ხალხი მცნობს“

მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა გამოცემამ „ფორბსმა“ ქართველ დიზაინერ ანუკი არეშიძესთან ინტერვიუ ჩაწერა.

ანუკი არეშიძე:

– ზეწოლას ვგრძნობ, მაგრამ საქართველოში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც საჭმლის ფული არ აქვთ. მათ არ აინტერესებთ დიდი მოდა, ან დიდი პოლიტიკა. მათ უბრალოდ საკვები სურთ თავიანთ მაგიდაზე. თავს დამნაშავედ ვიგრძნობ, თუ მარტო ჩემს მოდურ საქმიანობაზე ვიქნები ფოკუსირებული. ყოველ კვირას ქუჩის მარკეტებში დავდივარ და ხალხი მცნობს. ძალიან დიდ სითბოს ვიღებ და ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია, მათი მხარდაჭერა. ეს მაძლევს ენერგიას, რომ უფრო დიდი რაღაცები გავაკეთო. ხომ გსმენიათ ნატალია ვოდიანოვაზე? ის ჩემი ერთ-ერთი შთაგონების წყაროა თავისი საქველმოქმედო საქმიანობით.

– მოდის ინდუსტრია, პოლიტიკა, ოჯახური ცხოვრება. როგორ აბალანსებ ამ ყველაფერს?

– რთულია. პირველ რიგში, მე დედა ვარ, შემდეგ ცოლი, შემდეგ დიზაინერი. ეს მეხმარება პრიორიტეტების გადანაწილებაში. ახლახან დავიწყეთ ახალი ცხოვრება, კახი თბილისის მერი გახდა და ამას ცვლილებებიც მოაქვს. ჩემი ქმარი ძალიან დამეხმარა ჩემი ოცნებების გაყოლაში, ახლა მსურს ძალიან აქტიური ვიყო ამ ახალი როლით. ეს მხოლოდ ჩემთვის არ არის. ეს სხვა ქალებისთვის და ბავშვებისთვის არის. ახლა მაქვს შანსი, ბევრი კარგი რამ გავაკეთო მათი მომავლისთვის.

– როგორ განსაზღვრავ „ფუფუნებას?

– ფუფუნება არ არის მაღალი ფასი, ან ეს ჩანთა, ან ფეხსაცმელების ის წყვილი. ეს ადამიანზეა, რაღაც შენს სულში. მე ბევრ ადამიანს ვხედავ სრულად გუჩის ლუქში, მაგრამ არ გამოიყურებიან მდიდრულად. ეს მთლიანად პიროვნებაზეა დამოკიდებული.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი 11 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მადაგასკარის პინგვინები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00, 03.42** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15** "სპორტის დაფა" **12.40** ქართ. მხ/ფ " **საბუდარელი ჭაბუკი**" **14.00** დოკ/ფ " ჯეიმის საუკეთესო შობა" **15.30, 04.42** დოკ/ფ **16.30** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **18.30, 07.07** დოკ/ფ. "გონების თამაშები" **20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **21.30** ქართ. ტ/სერ. "**დათა თუთაშხია**" **22.30** ტ/სერ. "**მედიჩები ფლორენციის მბრძანებლები**" **23.34** მხ/ფ " **უკეთესად არ არსებობს**"(ჰ.ჰ ანტი) **01.50** მხ/ფ " **უფლისწული და მოცეკვავე**" (მ.მონრო) **05.41** მხ/ფ " **იდეალური შობა**"

06.30 სერ. "**ფიცი**" **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ტყუილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **18.35** "ნეოგაზის" გათამაშება **18.50, 19.03** სერ. "**დარჩი ჩემთან**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**დედა**" **23.00** სერ. "**დიდი შესვენება**" **23.30** სუხიშვილები **70 01.00, 03.00, 05.00** მხ/ფ

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დედამთილი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **17.10** სერ. "**მორჩილების სავანე**" **22.00** გააცინე და მოიგე (ბესტი) **23.00** მხ/ფ **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.50** კურიერის დაიჯესტი

tv ეროვნული **8.00, 10.00, 14.00, 17.50, 20.00 0.00, 2.00, 4.00,** მხ/ფ **12.00** სერ. "**რამონზე ეფუძარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **13.40, 22.30** უცხოეთის ამბები **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**"

08.00 ან/ფ "ავატარი 3" **09.00, 19.00** სერ. "**ჯაშუში 2**" **11.00** მხ/ფ "**ექვსი დღე შვიდი ღამე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 6**" **17.00** სერ. "**ქუანტიკო**" **21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **22.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.30** მხ/ფ "**ნოემბრის კაცი**" **01.45** მხ/ფ "**მეტისმეტად ხმამაღლა**" **მეტისმეტად ახლოს**" **04.00** მხ/ფ "**სახლი მოჩვენებებით**" **05.40** მხ/ფ "**ვამპირი**"

08.00 ანანდა **08.10** სისი **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40** ახალი ამბები **12.00, 2.00** ბიზნესკოდი **13.30** ბენეფისი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.00** ფაბრიკა **17.30** ღია სტუდია **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** მხ/ფ

მაესტრო **10.00 - 23.00** მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები

ოჯახი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილი მუშაკი, საჩხერის რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე, თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი

ჯამგულ აკაკის ძე შუბითიძე

პანაშვიდი: 11, 12 იანვარს.

დაკრძალვა: 13 იანვარს, 14 საათზე.

მისამართი: საჩხერე, 26 მაისის ქუჩა №21.

ლამარა შუბითიძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაეცვალა ძმა

ჯამგულ შუბითიძე

თამაზ გოგობერიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაეცვალა მამიდაშვილი

ჯამგულ შუბითიძე

და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

თემურ და რუსუდან გოგობერიშვილები ოჯახით მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაეცვალათ მამიდაშვილი

ჯამგულ შუბითიძე

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, დიდებული მოქალაქე და ისტორიკოსთა მრავალი თაობის აღმზრდელი მარიამ (მარიკა) ლორთქიფანიძე.

უკვე მრავალი წელია მან ღირსეულად დაიმსახურა ზედწოდება – „ქართველი ისტორიკოსების დედა-მარიამ“, რაც ათეული წლების მანძილზე საისტორიო მეცნიერებაში მის მიერ შეტანილი ღვაწლის დამსახურებული აღიარებაა. მისი შრომები: მონოგრაფიები, წერილები, გამოკვლევები მთლიანად მოიცავს საქართველოს ისტორიის ურთულეს პრობლემებს, რომლებიც მან, პირველწყაროების საფუძველზე, ასე ღრმად შეისწავლა და საკუთარი ინტერპრეტაციით ასე დამაჯერებლად წარმოუდგინა სამეცნიერო საზოგადოებას.

მარიამ ლორთქიფანიძის მთავარი სიყვარული – დედა სამშობლო–საქართველო იყო. ის არა მარტო რუდუნებით სწავლობდა გარდასულ საუკუნეთა ფოლიანტებს, არამედ მუდამ იყო ღირსეული მოქალაქე და საქართველოს ეროვნული ინტერესების დამცველი, იქნებოდა ეს ისტორიის გადამთიელ გამყალბებლებთან წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, თუ ახალი საქართველოს მშენებლობის ურთულესი პერიოდები – აკად. მარიამ ლორთქიფანიძე მუდამ საქართველოსთვის მებრძოლთა წინა რიგებში იდგა და არასოდეს უკან არ

დაუხევია თავისი პრინციპული პოზიციებიდან, რასაც მუდამ ერთგულად ემსახურებოდა.

აკად. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომები ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე მუდამ მოწოდებული იყო ქართველი ერის ისტორიული მიღწევების პოპულარიზაციისათვისა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ – რასაც ჩინებულად აღწევდა ხშირი და წარმატებული გამოსვლებით სამეცნიერო ფორუმებსა და ისტორიკოსთა კონგრესებში მონაწილეობის დროს. გვჯერა: სანამ ქართული საისტორიო მეცნიერება იარსებებს, მუდამ იქნება ხსოვნა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძის – დიდებული მეცნიერის, ჩინებული მოქალაქისა და, უბრალოდ, მშვენიერი ქართველი ქალის.

ისტორიის, ეთნოლოგიისა და რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლების სახელით, აკად. დავით მუსხელიშვილი, პროფ. მიხეილ სამსონაძე, პროფ. ალექსანდრე დაუშვილი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

11 იანვრისთვის

- აშშ დოლარი — 2.5803
- ევრო — 3.0775
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4919
- 100 რუსული რუბლი — 4.5243

ამინდის პროგნოზი 11 იანვრისთვის



28 დეკემბრიდან

ჩემი შემეცნებითი ახალი წელი

ამ წიგნით ბავშვები გააკეთებენ ნაძვის ხის სათამაშოებს, შექმნიან მისალოცბარათებს, დახატავენ თოვლის ბაბუას, ააწყობენ ფაზლებს და ამ ყველაფრით სიამოვნებით დაკავდებიან საახალწლო არდადეგებზე. ამას გარდა, მას შესანიშნავად გამოიყენებენ საბავშვო ბაღებშიც...

ფასი გაზეთთან ერთად 5.50 ლარი



9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

წყნარ ოკეანეში „უცხოს“ მსგავსი გველთევზა დაიჭირეს

მეცნიერებმა წყნარ ოკეანეში უიშვიათესი გველთევზა დაიჭირეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

სპეციალისტებმა ხუთი ცალი გველთევზა ტაივანის მახლობლად 350 მეტრის სიღრმეში დაიჭირეს. ოთხი მათგანი მაშინვე დაიღუპა, ერთადერთი გადარჩენილი ზღვის ცივ წყალში მოათავსეს, მაგრამ ერთი დღის შემდეგ ისიც დაიღუპა.

პირველად მსგავსი გველთევზა 1986 წელს აღმოაჩინეს. მას შემდეგ ის ძალზე იშვიათად ხვდებოდა მეთევზეთა ბადეში. ამიტომ ის ნაკლებადაა შესწავლილი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ის 300-400 მეტრის სიღრმეში ბინადრობს, ხოლო ღამით 150 მეტრის სიღრმეზე ამოდის.

გველთევზას ყბების პირის გარეთ გამოწევის უნარი აქვს, რითიც ის ფილმების სერიალ „უცხოს“ არსებას წააგავს. ეს მათ საშუალებას აძლევთ, ერთ ჯერზე ძალიან დიდი თევზიც კი გადაყლაპონ. მათ ეს სახელი იმ კბილების გამო მიიღეს, რომლებიც გველის ეშვებს წააგავს.

ისინი კიბორჩხალებითა და თევზებით იკვებებიან.

შეშინებული რვაფეხას მეტამორფოზი ვიდეოზე გადაიღეს

მყვინთავმა ჰავაის კუნძულებიდან ვიდეოზე გადაიღო რვაფეხა, რომელიც მდევრისგან თავის დასაღწევად ფერს და ფორმას იცვლიდა. ვიდეომ მას მედიის ყურადღება მიიპყრო.

ჰექტორ სეგვინმა ვიდეო კუნძულ ოაჰუს მახლობლად ჩაყვინთვის დროს გადაიღო.

– რვაფეხა ყოველნაირად ცდილობდა გარემოს შერწყმოდა, რათა ჩემგან თავი დაეღწია, – განაცხადა სეგვინმა. ის ამავე დროს კმაყოფილი იყო იმით, რომ მოახერხა აღებეჭდა ის, თუ როგორ იცვლიდა რვაფეხა ფერს და ფორმას.

აღსანიშნავია, რომ რვაფეხებს მიმიკრიის უნარი გააჩნიათ, რაც მათი უჯრედების აგებულებითაა განპირობებული. ისინი შეიცავენ პიგმენტებს, რომლებიც იწელებიან და იკუმშებიან, რეაგირებენ სხეულის ნერვული სისტემის სიგნალებზე. შეშინებული რვაფეხა თეთრ შეფერილობას იღებს, ხოლო გაბრაზებული წითლდება ან შავდება. ისინი ასევე იცვლიან ფორმას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ეს კომპიუტერული ფირმაა?

– დიახ.

– თქვენთან ერთი თვის წინ კომპიუტერი ვიყიდე.

– მერე?

– დაიწვა.

– რა დაიწვა?

– ყველაფერი.

– როგორ თუ ყველაფერი?

– ჰო, ყველაფერი დაიწვა.

– ყველაფერი როგორ დაიწვა! მონიტორი დაიწვა? ვინჩესტერი?

– მონიტორიც დაიწვა, ვინჩესტერიც...

– სიდი რომიც?

– კი ეგეც, ფლოპიც, მაზერიც...

– რა მოხდა ეგეთი?

– ხანძარი იყო, ხანძარი...

●●●

გასვენებაში გამოსათხოვარ სიტყვაში ოჯახის ახლობელი ამბობს:

– წავიდა ჩვენგან ჩვენი უსაყვარლესი მეგობარი და უნუგეშოდ დატოვა ოცდათხუთმეტი წლის გულმოკლული ქვრივი...

– ოცდათოთხმეტის, – ამოისლუკუნა ქვრივმა.

●●●

ცოლი და ქმარი იერუსალიმში შვებულების გასატარებლად ჩავიდნენ. მოულოდნელად ცოლი გარდაიცვალა. მეკუბოვე მამაკაცს ეუბნება:

– შეგიძლიათ, აქ, წმინდა მიწაზე დაასაფლავოთ და ეს სულ რაღაც 150 დოლარი დაგიჯდებათ, ან მისი ცხედარი სახლში გააგზავნოთ, რაც 5000 ათასი დოლარი ეღირება.

ქმარი დაფიქრდა და ეუბნება.

– მირჩევნია, სახლში გავაგზავნო.

– კარგად დაფიქრდით, რატომ უნდა დახარჯოთ 5000 ათასი დოლარი მის სახლში გაგზავნაში, როცა თქვენ ცოლს აქ ლამაზ დასაფლავებას სულ რაღაც 150 დოლარად მოუწყობთ?!

– იცით რა, აქ დიდი ხნის წინ ერთი ადამიანი გარდაიცვალა, ის დაასაფლავეს და სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღდგა. ამიტომ არ მინდა გავრისკო.

●●●

დირექტორი თანამშრომელს ეკითხება:

– რატომ დააგვიანე სამსახურში?

– თავი ბალიშის კიდეს ჩამოვარტყი და ორი საათით გონება დავკარგე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამუელ უმტიტიმ ტრავმა მოიშუშა

ბარსელონას ფრანგმა ცენტრალურმა მცველმა სამუელ უმტიტიმ ტრავმა მოიშუშა და ის მალე მოედანზე დაბრუნდება.

უმტიტის ტრავმა თვეზე მეტი აწუხებდა და მან ბარსელონას რამდენიმე შეხვედრა გამოტოვა. მის მაგივრად ტომას ვერმალენი თამაშობდა, რომელმაც თავის მოვალეობებს თავი ძალიან კარგად გაართვა, მაგრამ უმტიტის დაბრუნების შემდეგ ვერმალენი, სავარაუდოდ, ისევ სათადარიგოთა სკამს დაუბრუნდება.

უმტიტი ბარსელონაში მეორე სეზონს ატარებს და ის ესპანეთის ჩემპიონატში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად ითვლება.

ფილიპე კოუტინიომ კერპად რონალდინიო დაასახელა

ბარსელონას ბრაზილიელმა ახალწვეულმა ფილიპე კოუტინიომ თავის კერპად თანამემამულე რონალდინიო დაასახელა. კოუტინიოს თქმით, ის ბავშვობაში ხშირად უყურებდა რონალდინიოს თამაშებს და მისი ყოველთვის აღფრთოვანებული რჩებოდა.

– ბევრი ფეხბურთელის თამაში მომწონდა, მაგრამ რონალდინიო მათგან ყოველთვის გამორჩეული იყო. ის ჩემი კერპია და ამას ყოველთვის ხმამაღლა ვიტყვი, – განაცხადა ფილიპე კოუტინიომ.

კოუტინიომ ასევე თქვა, რომ რონალდინიოს ბარსელონაში ყოფნის დროს ის მუდმივად ბარსელონას გულშემატკივრობდა.

რეალი მოჰამედ სალაჰით დაინტერესდა

მადრიდის რეალი ლივერპულის ეგვიპტელი ფორვარდით მოჰამედ სალაჰით დაინტერესდა. სალაჰს წელს ძალიან კარგი სეზონი აქვს და ის ლივერპულის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია. სალაჰის ასეთმა თამაშმა რეალის ყურადღებაც მიიპყრო, თუმცა ოფიციალურად სამეფო კლუბს სალაჰის მიმართ ინტერესი არ დაუდასტურებია. სავარაუდოდ, ლივერპული თავის კიდევ ერთ ლიდერს არ გაყიდის, რადგან რამდენიმე დღის წინ მან უკვე დაკარგა ფილიპე კოუტინიო, რომელიც 140 მილიონ ევროდ ბარსელონაში გადავიდა.

ზიდანი: „რეალის კრიზისი ჩემი ბრალია“

მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა თავისი გუნდის კრიზისზე ისაუბრა და თქვა, რომ ეს მისი ბრალია და სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება.

– წინა ორი სეზონი შესანიშნავი იყო, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოგონებებით არ უნდა ვიცხოვროთ და წინ უნდა ვიყუროთ. ლა ლიგის მოგების შანსი თითქმის აღარ გვაქვს, რაც სამწუხაროა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგაში ღირსეულად გამოვალთ, – განაცხადა ზიდანმა.

ესპანეთის ჩემპიონატში რეალი ბარსელონას 16 ქულით ჩამორჩება და ზიდანის გუნდი ამჟამად მე-4 პოზიციას იკავებს სატურნირო ცხრილში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. არაბი გლეხი; 2. სამწვადედ მომზადებული ხორცის ნაჭრები; 3. საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 4. ქალის, უთითო ხელთათმანი; 6. აეროპორტი მადრიდში; 8. თვითმფრინავის ან გემის აცდენა კურსიდან, ქარის ან წყლის დინების გავლენით; 11. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. იტალიის პრემიერ მინისტრი.

თარაზულად: 1. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 5. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 7. „დედინაცვლის ენა“-დ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. პრივილეგიური, მემკვიდრეობითი წოდება ძველად საქართველოში; 10. აზოვის ზღვის ძველი სახელწოდება; 13. სამხაზველო ხელსაწყო; 14. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 20. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. სახელმწიფო ევროპაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა